პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 50 (12562) | ხუთშაბათი, 28 თებერვალი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების, ადგილობრივი საბჭოების არჩევნები წელს მიმდინარეობს სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებების ნიშნით, საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის ნიშნით, რომელიც ყრილობამ მიიღო. ყრილობის დოკუმენტები, პარტიის პროგრამა იმ გიგანტურ შუქურათა მსგავსია, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ წარვმართოთ კომუნისტური მშენებლობის დიადი საქმე მეცნიერული გეგმის შესაბამისად.

ნ. ს. ხრუშჩოვი.

პარტია და ხალხი ერთიანია

ქალაქ მოსკოვის კალინინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრება

ახლოვდება მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღე. უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის, მშრომელთა მაღალი აქტიურობის ვითარებაში მიმდინარეობს ყველგან შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან, რომლებიც ხალხმა დაასახელა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში.

მოსკოვის კალინინის ოლქის ამომრჩეველთა წარმომადგენლები შეიკრიბნენ 27 თებერვალს კრემლის ყრილობათა სასახლის უზარმაზარ, გაჩრაღდნებულ დარბაზში. განსაკუთრებით გულითადად შეხვდნენ ისინი რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ამ ოლქში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს.

აქ მოვიდნენ „სერპ ი მოლოტის“ მეტალურგები, „მანომეტრის“ ხელსაწყოთმშენებლები, მოსკოვის სახარისხებელი სადგურის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეები, რომლებმაც ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი დაასახელეს რუსეთის ფედერაციის პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად, მეცნიერები, ინჟინრები, ხელოვნების ოსტატები, საზოგადო მოღვაწეები, უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები.

ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვთან** ერთად პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, დ. ს. პოლიანსკი, ნ. მ. შვერნიკი, ვ. ვ. გრიშინი, ლ. ნ. ეფრემოვი, პ. ნ. დემიჩევი, დ. თ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ვ. ნ. ტიტოვი** და **ა. ნ. შელეპინი**, მოსკოვის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაკები, კალინინის რაიონის ქარხნების, ფაბრიკების, მშენებლობის მოწინავე ადამიანები.

კრება გახსნა სკკპ კალინინის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა **ტ. ი. კუტეპოვამ**, მან სიტყვა მისცა ნდობით აღჭურვილ პირს, ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ ოსტატს **ვ. ა. სილანტიევს.**

— ჩვენ, კალინინის ოლქის ამომრჩევლებს, — ამბობს იგი, — დიდი პატივი გვხვდა ხმა მიეცეთ ერთგულ ლენინელს, მშვიდობისა და კომუნიზმისათვის დაუცხრომელ მებრძოლს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

ჩვენი კანდიდატი მშრომელი ადამიანია. მან კარგად იცის, როგორ იღებენ ქვანახშირს, ხარშავენ ფოლადს, მოჰყავთ პური. ნიკიტა სერგის ძის რჩევას, საქმიან დახმარებასა და მხარდაჭერას გრძნობენ ენერგეტიკოსები და მხატვრები, მეტალურგები და მედიკები, მშენებლები და სოფლის მშრომელები.

ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ მეტალურგებმა მომანდეს მოვახსენო პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, თქვენ, ნიკიტა სერგის-ძევ, რომ დღეს ჩვენმა კოლექტივმა შეასრულა ორი თვის საწარმოო პროგრამა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 3 ათას ტონაზე მეტი ფოლადი და ნაგლინი. ჩვენი ფოლადი უერთდება ლენინის მძლავრ ნაკადს, რომელსაც საბჭოთა კავშირი ადნობს. ჩვენმა ფოლადმა გაუძლო სიმტკიცის გამოცდას დედამიწაზეც და კოსმოსშიც.

არჩევნების დღე, ამბობს ამხ. **სილანტიევი**, ჩვენი საბჭოთა დემოკრატიის ახალი გამარჯვების დღედ გადაიქცევა. ამ დღეს ამომრჩევლები ხმას მისცემენ შრომას, თავისუფლებასა და მშვიდობას დედამიწაზე.

ტრიბუნაზეა ქარხანა „მანომეტრის“ ამწყობი ზეინკალი, კომუნისტური შრომის დამკვრელი **ნ. ა. კომაროვა.**

— ნიკიტა სერგის-ძესთან შეხვედრა დიდად სასიხარულოა ყველა ჩვენგანისათვის, — აცხადებს იგი. — მე უპარტიო ვარ. მაგრამ დიდი ხანია ჩვენში დამკვიდრდა, რომ პარტიის საქმე ყველა საბჭოთა ადამიანის საქმეა. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. რადგან პარტია მიგვიძღვის ნათელი, მშვენიერი მომავლის — კომუნიზმისაკენ.

კალინინის რაიონის მეცნიერთა სახელით კრებაზე გამოვიდა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი სოციალისტური შრომის გმირი **გ. პ. სვიშჩევი.** მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის წარმატებანი ატომური ენერგიის მშვიდობიან გამოყენებაში, კოსმოსური სივრცის კვლევაში, პირველხარისხოვანი რეაქტიული ავიაციის შექმნასა და ბევრ სხვა დარგში კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეცადინეობის შედეგია.

რუსეთის სფსრ დამსახურებულმა მასწავლებელმა **ვ. პ. ლაიკომ** თქვა, რომ საბჭოთა პედაგოგებს მინდობილი აქვთ ყველაზე ძვირფასი, რაც არის ჩვენს ქვეყანაში, — ბავშვები, ჩვენი მომავალი. ისინი უნერგავენ მათ წმიდათა წმიდა სიყვარულს სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი. მასწავლებლები ყოველთვის პარტიის ერთგული თანამშრომლები იქნებიან კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

თუ რამდენად სწრაფად ხორციელდება ჩვენი სახალხო მეურნეობის ტექნიკური ხელახალი აღჭურვა, მოსკოვის სახარისხებელი სადგურის დეპოს მაგალითით ცხადყო ელმავლის მემანქანემ **ე. მ. დიანოვმა.**

— საბჭოთა ახალგაზრდობა, კომკავშირი ყოველთვის და ყველგან პარტიასთან არის, — განაცხადა კრების ტრიბუნიდან მოსკოვის კავშირგამაერთებლის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა **ოქსანა შაპოვალოვამ.** — საბჭოთა ახალგაზრდობა მადლობას უძღვნის უფროს თაობას იმისათვის, რომ იგი გადმოგვცემს დიადი მშენებლობის ესტაფეტას — ქვეყანას, აღსავსეს უზარმაზარი ძალებით, ქვეყანას, მომავალს კომუნიზმისაკენ.

ყველა ორატორმა უდიდესი გულთბილობით ილაპარაკა თავის დეპუტატობის კანდიდატზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვზე. მათ მოუწოდეს კალინინის ოლქის ამომრჩევლებს ერთსულოვნად მისცენ ხმა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს.

სიტყვა ეძლევა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს. დარბაზში ოვაცია გაიმართა. ნიკიტა სერგის-ძემ გულთბადი მადლობა გადაიხადა გაწეული ნდობისათვის, იმისათვის, რომ იგი კვლავ დაასახელეს კალინინის ოლქში რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

* * *

ტ. ი. კუტეპოვამ, რომელმაც კრება დახურა, კალინინის ოლქის ამომრჩეველთა სახელით მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ 3 მარტს ყველა ამომრჩეველი ერთსულოვნად მისცემს ხმას ერთგულ ლენინელს, მშვიდობისათვის, კომუნიზმისათვის დაუცხრომელ მებრძოლს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, რომ არჩევნების დღე იქნება ჩვენი სოციალისტური დემოკრატიის ახალი გამარჯვების დღე, ერთხელ კიდევ ცხადყოფს პარტიის, მთავრობისა და ხალხის მონოლითურ ერთიანობას. (საკდესი).

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ქალაქ მოსკოვის კალინინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე 1963 წლის 27 თებერვალს

ძვირფასო ამხანაგებო, მოსკოვის კალინინის ოლქის ამომრჩეველთა წარმომადგენლებო! ნება მიბოძეთ სულით და გულით გადაგიხადოთ მადლობა ნდობისათვის, იმისათვის, რომ კვლავ დამასახელეთ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თქვენს კანდიდატად.

პირველად როდი მიხდება თქვენთან შეხვედრა, და ყოველთვის, როცა ასახელებთ ჩემს კანდიდატურას, მე ვფიქრობ, რომ უნდა ვიმუშაო და ვიმუშაო, რათა ვიყო ღირსი ნდობის ღირსი. თქვენი ნდობა ჩემდამი, ამხანაგებო, უწინარეს ყოვლისა არის ნდობა კომუნისტური პარტიისადმი, რომლის წევრიც მე ვარ, ნდობა საბჭოთა მთავრობისადმი. თქვენს კეთილ სიტყვებს ჩემდამი სავსებით ვაკუთვნებ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ჩვენი ხალხის ავანგარდს!

რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების, ადგილობრივი საბჭოების არჩევნები წელს მიმდინარეობს სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებების ნიშნით, საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის ნიშნით, რომელიც ყრილობამ მიიღო. ყრილობის დოკუმენტები, პარტიის პროგრამა იმ გიგანტურ შუქურათა მსგავსია, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ წარვმართოთ კომუნისტური მშენებლობის დიადი საქმე მეცნიერული გეგმის, შესაბამისად.

ახლანდელი არჩევნები ემთხვევა შვიდწლიანი გეგმის მეხუთე წლის დასაწყისს, გეგმისა, რომელსაც საბჭოთა ხალხი წარმატებით ასრულებს. მარტი გაზაფხულის პირველი თვეა. ჩვენს ქვეყანაში არის რაიონები, სადაც დაითესა პირველი მარცვალი, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი მრეწველობის მშრომელებთან ერთად მზად არის დამკვრელურად შეხვდეს გაზაფხულს. ჩვენ ბევრ რამეს ველით მიმდინარე წლისაგან. ეს პასიური ლოდინი როდია. არის ასეთი ფხიანი გამოთქმა: არ უნდა მოველოდეთ წყალობას ბუნებისაგან, ჩვენი ამოცანაა წავართვათ მას ეს წყალობა. როგორც ცნობილია, ჩვენ არავისთვის არ გვითხოვია და არავის არ ვთხოვთ წყალობას — საბჭოთა ხალხი თავისი შრომით ქმნის ფასეულობებს და თვითონვე იყენებს ამ შრომის ნაყოფს.

როცა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მიმდინარეობს პარლამენტის არჩევნები და გამოდიან ბურჟუაზიული პარტიების კანდიდატები, ისინი ჩვეულებრივ არ იშურებენ ხოლმე დაპირებებს. ხალხი იქ უკვე შეჩვეა ამგვარ სიტყვებს. კაპიტალიზმის კანონი — თუ არ მოატყუე, ვერ გაჰყიდიო — ამ ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაზეც ვრცელდება. იქ წინასაარჩევნო კამპანიებში, საარჩევნო ბრძოლაში მოქმედებს კაპიტალიზმის კანონი, ყიდვა-გაყიდვის კანონი. იყენებენ სხვადასხვა დაპირებას — ოქროს მთებსა და რძის მდინარეებს. რას იზამ, რეკლამაა! ამის გამო დასავლეთში გავრცელებულია ბევრი, მე ვიტყოდი, ნაღვლიანი ამბავი. ერთი მათგანი დაახლოებით ასეთია. ერთ-ერთი პარტიის კანდიდატი წინასაარჩევნო სიტყვას წარმოთქვამდა და მოუწოდებდა ამომრჩევლებს, ხმა მომეცითო. „თუ არჩევნებში ჩვენი პარტია გაიმარჯვებს, — ეუბნებოდა იგი ერთი სოფლის მცხოვრებთ, — ახალ ხიდს აგიშენებთ“. „მაგრამ ჩვენში მდინარე ხომ არ არის, რათ გვინდა ხიდი?“ — გაოცდნენ ამომრჩევლები. „არაფერია, — უპასუხა კანდიდატმა, — მდინარესაც გამოგიყვანთ“. როგორც ხედავთ, პასუხის გაცემა როდი უჭირდა.

ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ საინტერესო მსჯელობაა ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტის პირსონის სტატიაში.

„დღეს ბევრნი დაწერენ ლინკოლნსა და მის მიერ გამოცხადებულ მიზანზე: ხალხის მართვა-გამგეობა, ხალხის ინტერესებითა და ხალხისათვის. ისინი იმსჯელებენ აგრეთვე ომზე, თუ რამდენი ადამიანი შეიძლება მოატყუონ და რამდენ ხანს ატყუონ. მდგომარეობა ძალიან როდი შეცვლილა ლინკოლნის დროიდან. დიქტატურის დროს მშვიდ მდგომარეობაში უნდა იყოლიო ხალხი. დემოკრატიის დროს (ამერიკელ ჟურნალისტს მხედველობაში აქვს შეერთებული შტატების დემოკრატია) მუდამ უნდა ატყუებდე ხალხს სულ ცოტა 51 პროცენტს ან ატყუებდე თელ ხალხს დროის 51 პროცენტის განმავლობაში“. შემდეგ კი ჟურნალისტი წერს: „ლინკოლნი დღეს ცოცხალი რომ ყოფილიყო და ირონიულად განწყობილი, შეძლო ასე გადაესხვაფერებინა თავისი წერილის ერთი სტრიქონი: „მდიდართა მართვა-გამგეობა, მდიდართა ნებითა და მდიდართათვის“.

რაც მართალია, მართალია! ამავე სტატიაში ნათქვამია, რომ ათეულ მილიონობით ამერიკელი სიღატაკეში ცხოვრობს. თვით პრეზიდენტი კენედიც კი იანვრის წერილში კონგრესისადმი „ამერიკის შეერთებული შტატების მდგომარეობის შესახებ“ აღნიშნავდა, რომ 32 მილიონი ამერიკელი „...ჯერ კიდევ ცხოვრობს სიღატაკის ზღვარზე“. და ეს ხდება ისეთ დიდად განვითარებულ ქვეყანაში, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია.



ამერიკული „დემოკრატია“, რომლითაც ასე მოაქვთ თავი მონოპოლისტური კაპიტალის იდეოლოგებს, იმასაც კი ვერ უბრუნველყოფს, რომ ამ ქვეყანაში ზანგებმა ისწავლონ თეთრკანიანებთან ერთად. ამერიკის შეერთებულ შტატებში არის პატარა კომუნისტური პარტია. იგი იცავს თავის მრწამსს, თავის შეხედულებებს ცხოვრებაზე. მაგრამ ამ პარტიას დევნიან, ადამიანებს კი, რომლებიც კომუნისტური მსოფლმხედველობისა არიან, ასამართლებენ და საპყრობილეებშიც ჰყრიან.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები კი, რამდენიც ვნებავთ, იმდენს გაჰყვირიან და დაპირებებს იძლევიან. ამასთან ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წარმომადგენლები ხშირად ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მათს ქვეყნებში არის არჩევნების თავისუფლება, პარტიული მსოფლმხედველობის თავისუფლება. მათთან, მართლაც, არის იმ პარტიათა თავისუფლება, რომლებიც იცავენ მონოპოლისტური კაპიტალის უფლებებს — ძარცვონ ხალხი.

ერთხელ, ერთ-ერთ გამოსვლაში, მე უკვე ვთქვი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნებში არსებითად ორი პარტია ებრძვის ერთმანეთს — რესპუბლიკური, რომლის ემბლემაა სპილო, და დემოკრატიული, რომლის ემბლემაა ვირი. საარჩევნო კამპანიის დროს მიმდინარეობს, როგორც ამერიკელები ამბობენ, შოუ, რაც ჩვენს ენაზე წარმოდგენას ნიშნავს. ასეთი წარმოდგენების დროს დემონსტრანტთა ერთი ნაწილი დადის და მოუწოდებს ხმა მისცენ ვირს, მეორე ნაწილი კი — სპილოს. არ შემიძლია ვთქვა, ამ ცხოველებიდან რომელს შეიძლება მივცეთ უპირატესობა და რომელია უფრო გონიერი. ეტყობა, ვირსა და სპილოს ამ შემთხვევაში ერთი ფასი აქვთ. ამომრჩევლებს კი სხვა არჩევანი არა აქვთ, რადგან მათ აწევება კაპიტალისტური წნეხი, რომელიც იყენებს რადიოს, ტელევიზიას, პრესას, რეკლამას.

ამოირჩიეთ ან სპილო ან ვირი, და ბედნიერი იქნებით — ქადაგებს რეკლამა. ამასთან პოლიტიკური რეკლამა ამერიკაში საკმაოდ ხმამაღლა, მე ვიტყოდი, თეატრალურად გაჰყვირის.

ორჯერ ვიყავი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ზოგჯერ ჩავრთავდი ხოლმე ტელევიზორს. აი მარტოოდენ ამერიკულმა ტელევიზიამ შეიძლება ჭკუაზე შეშალოს კაცი. წარმოგიდგენიათ, როცა საწყალ ამომრჩეველს მთელი დღე-ღამის განმავლობაში — დილიდან შუაღამემდე თავს ატყდება ვირის ან სპილოს წარმომადგენელთა სიტყვების ნაკადი!

შეგიძლიათ თქვათ, ხრუშჩოვი ერთსა და იმავეს იმეორებსო, ეს უკვე უთქვამსო. მაგრამ, ამხანაგებო, გთხოვთ მომიტევოთ: საქმეს ის არის, რომ იძულებული ვარ ვილაპარაკო ამაზე, რადგანაც ამერიკის შეერთებულ შტატებში არავითარი ცვლილება არ მომხდარა სპილოს პარტიასა და ვირის პარტიას შორის, ისევე როგორც არავითარი ცვლილება არ მომხდარა თვით ამ ცხოველებში. აკადემიკოს ლისენკოს არ მოვთათბირებივარ, მაგრამ, გფიქრობ, იგი დაადასტურებს ჩემს სიტყვებს, რომ ეს ცხოველები როგორიც იყვნენ, ისეთივე დარჩნენ, არავითარი ჰიბრიდი ამერიკის შეერთებულ შტატებში არ გამოუყვანიათ. სახალხო კაპიტალიზმი და სხვა მტაცებანი მხოლოდ აბრაა, მოვლენის არსი კი არ შეცვლილა.

მინდა მოვიყვანო მაგალითი, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება არჩევნებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში. იქ უკვე ახლა დემოკრატიული პარტია და რესპუბლიკური პარტია იწყებენ მზადებას 1964 წლის არჩევნებისათვის. დემოკრატიული პარტია, მაგალითად, აწყობს სადილებს, რომელთა შემოსავალი მომავალი საარჩევნო კამპანიის ფონდში შედის. როგორი ფიქრობთ, რა ღირს ასეთი სადილი? ასი დოლარი, ესე იგი 90 მანეთი ჩვენი ახალი ფულით. ვის შეუძლია მიირთვას ასეთი „სადილი“? რასაკვირველია, არა უბრალო მუშებსა და ფერმერებს, არამედ კაპიტალისტებს, მონოპოლისტებს.

ისინი ეს დოლარს იმიტომ კი არ იხდიან სადილში, რომ გაძღნენ. მათ საჭმელი როდი იზიდავს. ასეთი „შეწირულებით“ ისინი აგროვებენ უდიდეს თანხებს წინასაარჩევნო კამპანიისათვის და იყენებენ ამ ფულს იმისათვის, რომ მოატყუონ ამომრჩევლები, იმისათვის, რომ იბრძოლონ მუშათა კლასის წინააღმდეგ. იმ ქვეყნებში, სადაც ძალაუფლება მონოპოლისტებს ეკუთვნით, ხელმოკლე ადამიანებს არათუ არ შეუძლიათ იქონიონ იმქიდი, რომ მათ კონგრესში ან სენატში აირჩევენ, არამედ ისიც არ შეუძლიათ, რომ ასეთ წინასაარჩევნო კრებაზე ისადილონ.

მართლაც, როგორ მოიგებენ უბრალო ადამიანები საარჩევნო კამპანიას, თუ იგი ასეულ ათასობით დოლარი ღირს? ამისათვის მილიონები უნდა გქონდეს, მილიონები კი, როგორც ცნობილია, აქვთ ან მილიონერებს, ან მილიონერთა მსახურებს, იმათ, ვინც მათს ანგარებითს ინტერესებს იცავს და პრაქტიკულად მონოპოლისტური კაპიტალის მსახურია.

ვინ არიან ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა პარლამენტების დეპუტატები? მათს უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ კაპიტალისტები, მიწათმფლობელი მაგნატები ან მათი ლაქიები — ადვოკატები, პროფესიონალი პოლიტიკანები, რომლებიც იცავენ მონოპოლისტური კაპიტალის ინტერესებს. მუშათა კლასი, გლეხობა, მშრომელი ინტელიგენცია ბურჟუაზიული დასავლეთის პირობებში იძულებული არიან გააფთრებით იბრძოლონ თავიანთი უფლებებისათვის, დაძლიონ ბურჟუაზიული საარჩევნო კანონებით შექმნილი მრავალი დაბრკოლება, რათა ხალხის ნამდვილი წარმომადგენლები გაგზავნონ ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებში. მხოლოდ იმის შედეგად, რომ შეუპოვრად იბრძვიან, იტალიის, საფრანგეთისა და ზოგიერთი სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოს მშრომელი ადამიანები გზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს ხელისუფლების ორგანოებში.

სულ სხვა სურათია ჩვენში. ჩვენი საწარმოების, მშენებლობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მოღვაწეები, სახელოვანი შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები, პარტიული და პროფკავშირული მუშაკები, რომლებსაც კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკი დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებს, მხოლოდ ერთი ბატონ-პატრონის — ხალხის წარმომადგენლები არიან.

ჩვენში ყოველი ღირსეული მშრომელი შეიძლება აირჩიონ დეპუტატად. ამისათვის დეპუტატობის კანდიდატს არ სჭირდება არავითარი კაპიტალი, არავითარი გავლენიანი ნაცნობობა და მყვირალა რეკლამები; მას უნდა

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი

გუშინ, 27 თებერვალს გაიმართა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ უხვი მოსავლის ოსტატები, მოწინავე მეცხოველეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

თათბირის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **ბ. ა. გეგეშიძე, დ. ს. ზეგლიანსკი, მ. ი. კუშავა, ვ. პ. მუკასეიანი, დ. ბ. სტურუა, ა. ტ. სტუჩენკო, ბ. ს. ქოფენიძე, შ. ი. ჟანუყაძე, ბ. დ. ჯავახიშვილი, მ. მ. ლელაშვილი, ბ. ი. ჩოგოვაძე, რ. ი. ფრუიძე,** კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ნოვატორები, მინისტრები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, თვალსაჩინო მეცნიერები. აქ არიან სტუმრები აზერბაიჯანისა და სომხეთის მოძმე რესპუბლიკებიდან.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ბ. დ. ჯავახიშვილმა.**

მქუხარე ტაშის გრიალში შეკრებილებმა თათბირის საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი **ნ. ს. ხრუშჩოვის** მეთაურობით.

მოხსენება — გასული წლის შედეგები და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოების გადიდებისა და მათი დამზადების 1963 წლის გეგმის შესრულების ღონისძიებანი — გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მუკასეიანძემ.**

თათბირის მონაწილეებს მიესალმნენ აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს იდეოლოგიური განყოფილების გამგე ამხ. **ს. მურთუზაევი** და სომხეთის სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. **გ. ოსანესიანი.**

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა **ი. ფუთურიძემ,** გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯის კოლმეურნეობის მერგოლურმა **ც. ყოლბაიამ,** ახალქალაქის რაიონის სოფელ ბურნაშეთის კ. ცეტკინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ვ. ქოჩოიანმა,** ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს ზედა ეწერის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირმა **ნ. პაპალიანმა,** სიღნაღის საწარმოო სამმართველოს სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის მექანიზატორთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა **ი. ბაიდოშვილმა,** აფხაზეთის ასსრ. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა **ბ. ბერულავამ,** გურჯაანის საწარმოო სამმართველოს სოფელ ვეჯინის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ბ. იმერლიშვილმა,** ყვარლის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა **ბ. ზაუტაშვილმა,** გორის საწარმოო სამმართველოს კარალეთის საბჭოთა მეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირმა **ს. ბოგიაშვილმა,** თელავის საწარმოო სამმართველოს ალვანის სანაშენო მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა **კ. ჯაბარულიძემ,** მახარაძის საწარმოო სამმართველოს სოფელ განახლების კოლმეურნეობა „უკრაინის“ თავმჯდომარემ **დ. ბოგუაძემ,** საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ი. ჩიკაევმა,** მეფრინველეობის ფაბრიკის ბრიგადირმა **ე. ხელაშვილმა,** ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს უფროსმა **ა. ჰეფეიამ,** ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ **ლ. ბერაძემ,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის წარმოებისა და დამზადების მინისტრმა **ზ. ბელდიაშვილმა,** მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა **ნ. ხოგიზურაშვილმა.**

ნაბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ვ. პ. მუკასეიანძემ.**

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს სოციალისტური ვალდებულებანი 1963 წლისათვის.

თათბირის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვისადმი, რომელშიც აღუთქვამენ, რომ მთელ თავიანთ ძალღონესა და ენერგიას მოახმარენ პარტიის XXII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და ნოემბრის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა, შვიდწლედის მეხუთე წლისათვის ნაკისრ ვალდებულებათა განხორციელებას.

დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება გაზეთის უახლოეს ნომერში.

საღამოს თათბირის მონაწილეთათვის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა დიდი კონცერტი. (საკდესი).

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

ჰქონდეს სახალხო საქმისათვის მტკიცე მებრძოლის თვისებები. რა შეიძლება იყოს სოციალისტური საზოგადოების ამ შესანიშნავ კანონზე უფრო კეთილშობილური და დემოკრატიული! ჩვენში ადამიანის ავტორიტეტი, მისი სახელი მილიონ მანეთობით როდი იზომება, ადამიანის წარჩინებულობას განსაზღვრავს მისი მონაწილეობა შრომაში, კოლექტივის მუშაობაში.

საბჭოთა ადამიანები თავიანთ ცოდნასა და უნარს, თავიანთ შრომას ხალხის სიმდიდრის საერთო ფონდს აბმარენ, ვინაიდან მათ იციან: რაც უფრო მდიდარია მთელი საზოგადოება, მით უკეთ ცხოვრობს ადამიანი.

პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს გარდაქმნა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ სრულიადაც არ ნიშნავს, რომ დემოკრატიის განვითარება უკვე დამთავრდა. ჩვენი, კომუნისტების, გეზია კიდევ უფრო განვავითაროთ დემოკრატია, რომელიც ჩვენი საზოგადოების ყველა რგოლში, ყველა უჯრედში უნდა დამკვიდრდეს.

ჩვენი პარტია ავითარებს და აღრმავებს ლენინურ დემოკრატიულ პრინციპებს როგორც სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, ისე წარმოების მართვაში.

კომუნიზმი ყველაზე დემოკრატიული საშუალებებით შენდება. ამიტომ მასების აქტივობისა და შემოქმედებითი ინიციატივის ყოველმხრივი განვითარება სოციალისტური სახელმწიფოს წარმატებათა საიმედო საწინდარია. ამასთანავე ცხადია მეორეც: რაც უფრო განვითარდება ჩვენს ცხოვრებაში საზოგადოებრივი საწყისები, მით უფრო მაღალი უნდა იყოს პარტიულ-სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის დონე, მით უფრო მოქნილად, ოპერატიულად უნდა მოქმედებდნენ პარტიული და სახელმწიფო ორგანოები.

ეს არის ჩვენი განვითარების დიალექტიკა. კომუნიზმი ხომ უარყოფს თვითდინებას; კომუნიზმის აშენება შეუძლებელია, თუ არ იქნება გონივრული დაგეგმვა, მეცნიერული განჭვრეტა, თუ არ გაძლიერდა პარტიულ-სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა და მშრომელთა მასების აქტივობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ამხანაგებო! საბჭოთა ხალხმა ბევრი რამ გააკეთა გასული წლების მანძილზე. ნება მიბოძეთ მოკლედ გაგაცნოთ ამ უკანასკნელი ოთხი წლის ჩვენი მუშაობის შედეგები და ის ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას. უწინარეს ყოვლისა რამდენიმე სიტყვა ვიტყვი კალინინის საარჩევნო ოლქის შესახებ, რომლის მშრომელებმა არაერთგზის დამდეს დიდი პატივი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ამირჩიეს.

თქვენ, ამხანაგო კალინინელებო, კარგად იმუშავეთ. ძალიან სასიამოვნოა, რომ რაიონის თითქმის ყველა სამრეწველო საწარმო რიტმულად მუშაობს, სისტემატურად მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს. მაგალითად, შარშან კალინინის რაიონის 122 საწარმომ წარმატებით შეასრულა გეგმა. და მხოლოდ ორ საწარმოს არ შეუსრულებია წლიური გეგმა. რაიონის ქარხნებმა და ფაბრიკებმა ბევრი ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს. ქარხანა „სერპ ი მოლოტმა“, მაგალითად, შარშან გეგმის გადაჭარბებით 12 ათას 600 ტონა ფოლადი, 6 ათასი ტონა შავი ლითონის ნაგლინი გამოუშვა. მოსკოვის კაბელის ქარხანამ გეგმის გადაჭარბებით დაახლოებით 600 ტონა ფერადი ლითონების ნაგლინი მოგვცა; ჰიდროაგრეგატების ქარხანამ— 11.600 ჰიდროტუმბო. ტრიკოტაჟის ფაბრიკებმა გეგმის გადაჭარბებით 16 ათას ცალზე მეტი ზედა ტრიკოტაჟი გამოუშვეს.

დედაქალაქის ყველა რაიონის მშრომელებს შესანიშნავი შედეგები აქვთ პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. მოსკოველნი წარმატებით ასრულებენ სახელმწიფო გეგმებსა და ნაკისრ ვალდებულებებს. გეგმის გადაჭარბებით წარმოებულია ,ათასობით ტონა ფოლადი, ნაგლინი, მილები, ათასობით მანქანა და ჩარხი, დიდძალი სახალხო მოხმარების საქონელი.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ მოსკოველებმა მნიშვნელოვნად გადაჭარბეს შრომის ნაყოფიერების ზრდის ვალდებულებებს. შარშან 1958 წელთან შედარებით ქალაქ მოსკოვის მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 27 პროცენტით გაიზარდა. შრომის ნაყოფიერება კი ამ პერიოდში სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირების პირობებში გაიზარდა 23 პროცენტით. პროდუქციის გამოშვების გადიდებას ძირითადად მიაღწიეს შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე პროდუქციის თვითღირებულების შემცირების სოციალისტური ვალდებულებანი.

თუ რამდენად გაიზარდა მოსკოვის მრეწველობა, ამას ცხადყოფს შემდეგი მონაცემები. 1940 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის მოცულობა დედაქალაქში გაიზარდა 4,5-ჯერ. და კიდევ ერთი შედარება. ამჟამად მოსკოვის მრეწველობა ხუთ დღეში უშვებს იმდენსავე პროდუქციას, რამდენსაც 1913 წელს უშვებდა წელიწადში.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რა დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას, კერძოდ, საბინაო მშენებლობას. უკანასკნელი წლების მანძილზე მოსკოვში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, მნიშვნელოვნად გაფართოვდა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის დასახული პროგრამა.

საბჭოთა საზოგადოების წინსვლა კომუნიზმისაკენ განუყრელად დაკავშირებულია წარმატებებთან მატერიალური დოვლათის წარმოებაში. და ეს უნდა გვახსოვდეს ყოველდღე, ყოველ საათს. რაღა კომუნიზმი იქნება, თუ ადამიანებს საკმაოდ არ ექნებათ ყოველივე, რაც სჭირდებათ უზრუნველყოფილი ცხოვრებისათვის, მზარდი სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის! კომუნიზმი წარმოგვიდგენია როგორც საზოგადოება თავისუფალი, ბედნიერი მშრომელებისა, რომლებსაც საკმაოდ აქვთ ყველა სახეობის მატერიალური და სულიერი სიკეთე, როგორც საზოგადოება ყოველმხრივ განვითარებული და დიდად შეგნებული ადამიანებისა.

კანონები, რომლებითაც ვითარდება საზოგადოება, ობიექტურია. და ეს კანონები ცხადყოფენ, რომ საზოგადოებრივი განვითარების საფუძველია საწარმოო ძალების განუწყვეტელი ზრდა, პროგრესი. აი რატომ მიაჩნია პარტიას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა მთავარ ეკონომიურ ამოცანად, რომელიც უნდა გადაეჭრათ ჩვენი დიადი მშენებლობის მსვლელობაში.

ვფიქრობ, რომ საჭირო არ არის მოვიყვანო მონაცემები, თუ როგორ შესრულდა შვიდწლიანი გეგმა უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში. ეს მონაცემები ამას წინათ გამოქვეყნდა პრესაში და ახლა ფართოდ არის ცნობილი.

მაგრამ მაინც უნდა შევეხოთ ზოგიერთ შედეგს, რომლებსაც საბჭოთა კავშირის მშრომელებმა მიაღწიეს განვლილ ოთხ წელიწადში. სიამაყით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ქვეყნის მრეწველობის საერთო პროდუქცია ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა 45 პროცენტით ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 39 პროცენტისა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოთხ წელიწადში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 28 მილიარდი მანეთის პროდუქცია.

საბჭოთა ადამიანები კარგ ტემპს ინარჩუნებენ ამერიკის შეერთებულ შტატებთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში. თუ გადავხედავთ განვლილ ხუთწლედს, დავინახავთ, რომ სამრეწველო პროდუქციის მატება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით სსრ კავშირში შეადგენდა 48 პროცენტს, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი — მხოლოდ 8 პროცენტს. ამჟამად სსრ კავშირის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა შეადგენს ამერიკის შეერთებული შტატების პროდუქციის დაახლოებით 63 პროცენტს ნაცვლად 1957 წლის 47 პროცენტისა.

ჩვენი სწრაფი წინსვლის წარმატება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რაოდენ სრულად გამოვიყენებთ ჩვენში არსებულ რეზერვებსა და შესაძლებლობებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა დასახა მთელი რიგი დიდი ღონისძიებანი ამ მიმართულებით. ახლა საწარმოო პრინციპის შესაბამისად მიმდინარეობს სახალხო მეურნეობისადმი პარტიის ხელმძღვანელობის გარდაქმნა. ჩვენი პარტია დიდი, ძლიერი, გრანიტივით მონოლითურია. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ სახალხო მეურნეობა მნიშვნელოვნად გაზარდა, საჭირო გახდა შეგვეცვალა წარმოების ხელმძღვანელობის მეთოდები, გარდაგვექმნა ორგანიზაციული სტრუქტურა, უფრო ზუსტი გაგვეხადა იგი. ახლა შექმნილია პარტიის სამრეწველო წარმოების საოლქო კომიტეტები და პარტიის სასოფლო-სამეურნეო წარმოების საოლქო კომიტეტები. ჩვენ პირდაპირ ვამბობთ, რომ პარტიული ორგანოების მუშაობაში მთავარია წარმოება. წარმოების განვითარების მიზნით უკეთ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი რესურსები, ჩვენი კადრები, მთელი ჩვენი ძალები. დარწმუნებული ვართ, რომ გარდაქმნა, რომელიც ახლა ხორციელდება, კარგ შედეგებს მოიტანს.

ამხანაგებო! ამ წლებში კარგი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის განვითარებაშიც. შეიცვალა ნათესი ფართობების სტრუქტურა, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ისეთ კულტურათა ნათესები, როგორიც არის სიმინდი, შაქრის ჭარხალი, ბარდა. მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო რაიონებში მარცვლის საერთო მოსავალმა შარშან შეადგინა 9 მილიარდი ფუთი, ანუ 147,5 მილიონი ტონა. ამდენი მარცვალი ჩვენს ქვეყანას არასოდეს არ მოუყვანია. გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

გადიდდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა. თუ 1962 წელს შევადარებთ 1953 წელთან, მარცვლის შესყიდვა თითქმის ერთიორად გაიზარდა; შესყიდულია ორნახევარჯერ მეტი პირუტყვი და ფრინველი, თითქმის სამჯერ მეტი რძე.

მაგრამ ჩვენ კიდევ ბევრი უნდა ვიშრომოთ, რათა მთლიანად დავაკმაყოფილოთ ხალხის მოთხოვნილებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. თქვენ იცით, რომ პარტია ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რათა მიღწეულ იქნას სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობა. გასული წლის მუშაობის შედეგები და პერსპექტივები, რომლებიც ისახება მომავლისათვის, რწმენას გვინერგავენ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში დასახული პროგრამა წარმატებით შესრულდება.

ჩვენი პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ ზრუნავენ საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის. რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების შემდეგ განვლილ ოთხ წელიწადში გრძელდებოდა ეროვნული შემოსავლის შემდგომი ზრდა, უმჯობესდებოდა მშრომელთა კეთილდღეობა. ჩვენი ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპები გაცილებით აღემატება კაპიტალისტური ქვეყნების ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპებს. უკანასკნელ ათ წელიწადში (1953-1962 წლები) ეროვნული შემოსავლის მატების სა-ში. ამ ოთხი წლის განმავლობაში 477 ათასი ოჯახი, ანუ ერთ მილიონ 700 ათასზე მეტი კაცი, ახალ ბინებში ჩასახლდა.

ბევრი რამ გაკეთდა საბჭოთა ადამიანების კულტურის ამაღლებისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის. უკანასკნელ ოთხ წელიწადში მოსკოვში აშენდა 164 სკოლა; სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებანი 87 ათასზე მეტი ადგილით. 1955-58 წლებთან შედარებით სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების მძღებლობა ორნახევარჯერ გაიზარდა. უკანასკნელ ოთხ წელიწადში აშენდა საავადმყოფოები 11 ათას 600 საწოლით, ანუ 3 ათასი საწოლით მეტი, ვიდრე წინა ოთხი წლის განმავლობაში.

მთელ ჩვენს ქვეყანაში გაწეულია დიდი მუშაობა საბინაო მშენებლობის დარგში. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი გადაწყვეტილების შემდეგ, 1957 წლის 1 იანვრიდან 1963 წლის 1 იანვრამდე ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და მუშათა დასახლებებში აშენდა 12 მილიონი ბინა, ხოლო სოფლად — 3,8 მილიონზე მეტი საცხოვრებელი სახლი. ამ ექვსი წლის მანძილზე ახალ ბინებში შესახლება იდღეასწაულა და საბინაო პირობები გაიუმჯობესა 75 მილიონამდე კაცმა. ეს, ამხანაგებო, ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობის მესამედია!

ბევრი რამ აშენდა უკანასკნელი წლების განმავლობაში. მაგრამ ამას არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავჯერდეთ. ჩვენ ვიცით, რომ ბინებზე მოთხოვნილება ჯერ კიდევ დიდია. მართალია, სიმწვავე ისეთი აღარ არის, როგორიც ხუთი-შვიდი წლის წინათ იყო, მაგრამ მაინც ბევრ მუშასა და მოსამსახურეს სჭირდება საცხოვრებელი ფართობის გადიდება. პარტია და მთავრობა ყველაფერს აკეთებენ და გააკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის დასახული პროგრამა.

საბჭოთა საზოგადოების წინსვლა კომუნიზმისაკენ განუყრელად დაკავშირებულია წარმატებებთან მატერიალური დოვლათის წარმოებაში. და ეს უნდა გვახსოვდეს ყოველდღე, ყოველ საათს. რაღა კომუნიზმი იქნება, თუ ადამიანებს საკმაოდ არ ექნებათ ყოველივე, რაც სჭირდებათ უზრუნველყოფილი ცხოვრებისათვის, მზარდი სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის! კომუნიზმი წარმოგვიდგენია როგორც საზოგადოება თავისუფალი, ბედნიერი მშრომელებისა, რომლებსაც საკმაოდ აქვთ ყველა სახეობის მატერიალური და სულიერი სიკეთე, როგორც საზოგადოება ყოველმხრივ განვითარებული და დიდად შეგნებული ადამიანებისა.

კანონები, რომლებითაც ვითარდება საზოგადოება, ობიექტურია. და ეს კანონები ცხადყოფენ, რომ საზოგადოებრივი განვითარების საფუძველია საწარმოო ძალების განუწყვეტელი ზრდა, პროგრესი. აი რატომ მიაჩნია პარტიას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა მთავარ ეკონომიურ ამოცანად, რომელიც უნდა გადაეჭრათ ჩვენი დიადი მშენებლობის მსვლელობაში.

ვფიქრობ, რომ საჭირო არ არის მოვიყვანო მონაცემები, თუ როგორ შესრულდა შვიდწლიანი გეგმა უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში. ეს მონაცემები ამას წინათ გამოქვეყნდა პრესაში და ახლა ფართოდ არის ცნობილი.

მაგრამ მაინც უნდა შევეხოთ ზოგიერთ შედეგს, რომლებსაც საბჭოთა კავშირის მშრომელებმა მიაღწიეს განვლილ ოთხ წელიწადში. სიამაყით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ქვეყნის მრეწველობის საერთო პროდუქცია ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა 45 პროცენტით ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 39 პროცენტისა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოთხ წელიწადში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 28 მილიარდი მანეთის პროდუქცია.

საბჭოთა ადამიანები კარგ ტემპს ინარჩუნებენ ამერიკის შეერთებულ შტატებთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში. თუ გადავხედავთ განვლილ ხუთწლედს, დავინახავთ, რომ სამრეწველო პროდუქციის მატება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით სსრ კავშირში შეადგენდა 48 პროცენტს, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი — მხოლოდ 8 პროცენტს. ამჟამად სსრ კავშირის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა შეადგენს ამერიკის შეერთებული შტატების პროდუქციის დაახლოებით 63 პროცენტს ნაცვლად 1957 წლის 47 პროცენტისა.

ჩვენი სწრაფი წინსვლის წარმატება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რაოდენ სრულად გამოვიყენებთ ჩვენში არსებულ რეზერვებსა და შესაძლებლობებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა დასახა მთელი რიგი დიდი ღონისძიებანი ამ მიმართულებით. ახლა საწარმოო პრინციპის შესაბამისად მიმდინარეობს სახალხო მეურნეობისადმი პარტიის ხელმძღვანელობის გარდაქმნა. ჩვენი პარტია დიდი, ძლიერი, გრანიტივით მონოლითურია. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ სახალხო მეურნეობა მნიშვნელოვნად გაზარდა, საჭირო გახდა შეგვეცვალა წარმოების ხელმძღვანელობის მეთოდები, გარდაგვექმნა ორგანიზაციული სტრუქტურა, უფრო ზუსტი გაგვეხადა იგი. ახლა შექმნილია პარტიის სამრეწველო წარმოების საოლქო კომიტეტები და პარტიის სასოფლო-სამეურნეო წარმოების საოლქო კომიტეტები. ჩვენ პირდაპირ ვამბობთ, რომ პარტიული ორგანოების მუშაობაში მთავარია წარმოება. წარმოების განვითარების მიზნით უკეთ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი რესურსები, ჩვენი კადრები, მთელი ჩვენი ძალები. დარწმუნებული ვართ, რომ გარდაქმნა, რომელიც ახლა ხორციელდება, კარგ შედეგებს მოიტანს.

ამხანაგებო! ამ წლებში კარგი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის განვითარებაშიც. შეიცვალა ნათესი ფართობების სტრუქტურა, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ისეთ კულტურათა ნათესები, როგორიც არის სიმინდი, შაქრის ჭარხალი, ბარდა. მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო რაიონებში მარცვლის საერთო მოსავალმა შარშან შეადგინა 9 მილიარდი ფუთი, ანუ 147,5 მილიონი ტონა. ამდენი მარცვალი ჩვენს ქვეყანას არასოდეს არ მოუყვანია. გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

გადიდდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა. თუ 1962 წელს შევადარებთ 1953 წელთან, მარცვლის შესყიდვა თითქმის ერთიორად გაიზარდა; შესყიდულია ორნახევარჯერ მეტი პირუტყვი და ფრინველი, თითქმის სამჯერ მეტი რძე.

მაგრამ ჩვენ კიდევ ბევრი უნდა ვიშრომოთ, რათა მთლიანად დავაკმაყოფილოთ ხალხის მოთხოვნილებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. თქვენ იცით, რომ პარტია ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რათა მიღწეულ იქნას სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობა. გასული წლის მუშაობის შედეგები და პერსპექტივები, რომლებიც ისახება მომავლისათვის, რწმენას გვინერგავენ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში დასახული პროგრამა წარმატებით შესრულდება.

ჩვენი პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ ზრუნავენ საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის. რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების შემდეგ განვლილ ოთხ წელიწადში გრძელდებოდა ეროვნული შემოსავლის შემდგომი ზრდა, უმჯობესდებოდა მშრომელთა კეთილდღეობა. ჩვენი ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპები გაცილებით აღემატება კაპიტალისტური ქვეყნების ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპებს. უკანასკნელ ათ წელიწადში (1953-1962 წლები) ეროვნული შემოსავლის მატების სა-შუალო წლიურმა ტემპმა საბჭოთა კავშირში შეადგინა 9,2 პროცენტი, მაშინ როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში — მხოლოდ 2,7 პროცენტი. სსრ კავშირის მშრომელთა რეალური შემოსავალი ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით განვლილ ოთხ წელიწადში 18 პროცენტით გაიზარდა.

ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია იმ სხვადასხვა გაცემული თანხებისა და შეღავათების ზრდა, რომლებსაც მოსახლეობა იღებს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან ხელფასისა და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების გადამეტებით. ოთხ წელიწადში ამ გაცემული თანხებისა და შეღავათების ოდენობა 1958 წლის 21,5 მილიარდი მანეთიდან გადიდდა 28,4 მილიარდ მანეთამდე 1962 წელს.

წლითიწლობით იზრდება საცალო საქონელბრუნვა. განვლილ ოთხ წელიწადში მოსახლეობას მიეყიდა თითქმის ერთი მესამედით მეტი საქონელი, ისეთი საქონელი კი, როგორიც არის, მაგალითად, ხორცის პროდუქტები — თითქმის 40 პროცენტით მეტი, რძე — თითქმის ერთნახევარჯერ მეტი, შაქარი — 40 პროცენტით მეტი. ტანსაცმლის მიყიდვა გაიზარდა 48 პროცენტით, ტყავის ფეხსაცმლისა — 39 პროცენტით.

თუ როგორ უმჯობესდება საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობა და კულტურა, მათი ყოფაცხოვრება, ამას ცხადყოფს ასეთი მაგალითი: ათი წლის წინათ მოსახლეობა ყოველწლიურად ყიდულობდა 70-100 ათას ტელევიზორს, განვლილ ოთხ წელიწადში კი საშუალოდ წელიწადში იყიდებოდა მილიონნახევარი ცალი ტელევიზორი; უკანასკნელ ოთხ წელიწადში გაიყიდა თითქმის 2,5 მილიონი ცალი მაცივარი, 4,6 მილიონზე მეტი სარეცხი მანქანა, ანუ ოთხჯერ მეტი, ვიდრე წინა ოთხ წელიწადში.

პარტია და მთავრობა კვლავაც ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ აამაღლონ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონე.

ჩვენი საზოგადოების საწარმოო ძალების ზრდასთან ერთად იცვლება საბჭოთა ადამიანის მთელი სულიერი ცხოვრებაც. ვ. ი. ლენინი კომუნიზმის მშენებლობას მჭიდროდ უკავშირებდა პარტიისა და სახელმწიფოს აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანებს. იგი ამბობდა, რომ საჭიროა გადავიდეთ **„...ყოველმხრივ განვითარებული** და **ყოველმხრივ** მომზადებული ადამიანების აღზრდასა, სწავლებასა და მომზადებაზე, ადამიანებისა, რომლებსაც **ყველაფრის გაკეთება ეცოდინებათ.** კომუნიზმი აქეთკენ მიდის, უნდა მიდხოდეს და **მივა,** მაგრამ მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ“. (თხზ., ტომი 31, გვ. 42).

საბჭოთა ადამიანები კანონიერად ამაყობენ სამამულო მეცნიერების წარმატებებით, რომელსაც მსოფლიოში წამყვანი მდგომარეობა უჭირავს ცოდნის ბევრ უმნიშვნელოვანეს დარგში. ჩვენი გაბედული ნაბიჯები კოსმოსში, ატომგულის ძალების დამორჩილებაში, დიდი მიღწევები ცოდნის სხვა დარგებში — ყოველივე ეს აიძულებს მთელი მსოფლიოს ადამიანებს შეუნელებელი ყურადღებით ადევნონ თვალყური საბჭოთა მეცნიერების ცხოვრებას.

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ წარმატება კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ გადააქცევს უფრო სწრაფად მეცნიერების უახლეს აღმოჩენებს წარმოების კუთვნილებად. სწორედ ამიტომ პარტია ასე დიდ ყურადღებას აქცევს სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის პრობლემას.

ჩვენს ქვეყანას უკვე დიდი ხანია წამყვანი ადგილი უჭირავს განათლების დარგში. ჩვენში ჩქეფს მხატვრული შემოქმედების ანკარა წყარო. სწრაფად ვითარდება თვითმოქმედებითი და პროფესიული ხელოვნება. პარტია აქტიურად იბრძვის ახალი ადამიანის აღზრდისათვის, სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების აყვავებისათვის, ანტიქაციონიზმისა და სხვა ფორმალისტურ ღვლარჭნილობათა წინააღმდეგ, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყველა და ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ ხელოვნებაში.

ჩვენი მიღწევები და წარმატებები შედეგია ხალხის თავდადებული შრომისა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, შედეგია ამომრჩეველთა და რაიონული, საქალაქო, საოლქო, სამხარეო საბჭოებისა და უმაღლესი საბჭოების დეპუტატთა შრომისა, რადგანაც ჩვენში დეპუტატები არა მარტო მონაწილეობენ საბჭოების სესიათა სხდომებში, სადაც გამოაქვთ გადაწყვეტილებანი, იღებენ კანონებს, ისმენენ აღმასრულებელ ორგანოთა ანგარიშებს, მთავრობის ანგარიშებს, არამედ თვითონაც აქტიურად მუშაობენ წარმოებაში, დაწესებულებებში. ისინი არ სწყდებიან კოლექტივებს, ცდილობენ გაამართლონ ხალხის ნდობა.

საქმე ჩვენს ქვეყანაში კარგად მიდის, და ყველას გვახარებს ჩვენი წარმატებები. მაგრამ, როგორც იტყვიან, კარგს ზღვარი არა აქვს. ამიტომ პარტია მუდმ მოგვიწოდებს არ გავყოყოჩდეთ, არ დავჯერდეთ მიღწეულ წარმატებებს.

მე არაერთხელ მილაპარაკნია შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე. ზოგიერთი თქვენგანი ალბათ მისმენს და ფიქრობს: როდემდის უნდა მოგვიწოდებდეს, უკეთ იმუშავეთო. ჩვენ ისედაც კარგად ვმუშაობთ, იგი კი სულ გვეუბნება: უკეთ უნდა იმუშაოთ, მეტი უნდა აწარმოოთო.

მაგრამ ეს ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხია, რომელსაც არ უნდა ვივიწყებდეთ. იმას, რაც პარტიის პროგრამაშია დასახული, მხოლოდ შრომით მივაღწევთ; უკეთესი ცხოვრება შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ხალხის შრომით, უკეთესი, უფრო ნაყოფიერი შრომით. საბჭოთა ადამიანის მაღალი მოწოდება, მისი უპირველესი მოვალეობა ის არის, რომ შექმნას, დააგროვოს სიმდიდრენი ჩვენი ქვეყნისათვის, საზოგადოების უკეთესი ცხოვრებისათვის, მომავალი თაობებისათვის. საიდან გვაქვს საცხოვრებელი სახლები? განა ამ სახლებს ციდან გვაწვდის ღმერთი? არა, ჩვენ ეს სახლები თვითონ უნდა ავაშენოთ. საიდან გვაქვს მანქანები? თქვენ იცით, რომ ისინი უნდა შევქმნათ. საიდან გვაქვს პური? იგი უნდა მოვიყვანოთ. უნდა ვაშენოთ ბევრი საცხოვრებელი სახლი, სკოლა, საბავშვო დაწესებულებანი, საავადმყოფოები, მეტი უნდა ვაწარმოოთ სახალხო მოხმარების საქონელი. სწორედ ამიტომ მოუწოდებს პარტია საბჭოთა ადამიანებს იბრძოლონ წარმოების გადიდებისათვის, რათა ამ საფუძველზე რაც შეიძლება მალე დავაკმაყოფილოთ ადამიანთა მოთხოვნილებანი. სხვა გამოსავალი არ არის.

თქვენ, რა თქმა უნდა, გესმით, რომ როცა შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე ვლაპარაკობ, მხედველობაში როდი მაქვს, რომ ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ კუნთების ძალის საშუალებით. არა, ამას უნდა მივაღწიოთ შრომის უკეთესი ორგანიზაციის, მანქანებისა და მექანიზმების უნარიანი გამოყენების გზით, იმით, რომ ვასწავლოთ კადრებს, რომლებიც კარგად დაეუფლებიან ტექნიკას. სწორად უნდა გამოვიყენოთ ყველა საშუალება შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

ამხანაგებო! ჩვენს სამშობლოს აქვს ყველაფერი, რათა უფრო გულდაჯერებით, უფრო სწრაფად იაროს კომუნიზმის გზით. ამისათვის გვჭირდება მხოლოდ ერთი რამ — მშვიდობა, შესაძლებლობა მშვიდად ვიშრომოთ, ვაშენოთ ჩვენი ნათელი და დიდი სახლი. ჩვენი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის გენერალური მიმართულება ის არის, რომ დაიცვას და განამტკიცოს მშვიდობა, დაამკვიდროს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები.

ამ პოლიტიკის განხორციელება რთულ პირობებში გვიხდება; მსოფლიო გაყოფილია სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობად, [illegible] ბანაკად, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობა აღსავსეა [illegible].

ჩვენი ამოცანაა [illegible] ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში განმტკიცდეს სადავო საკითხების მოლაპარაკების გზით გადაჭრის ტენდენცია. საჭიროა, რომ ყველა სახელმწიფომ, და უწინარეს ყოვლისა დიდმა სახელმწიფოებმა არა სიტყვით, არამედ საქმით აღიარონ, რომ რაკეტულ-ატომური იარაღის საუკუნეში მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა ერთადერთი გონივრული პოლიტიკაა. წინააღმდეგ შემთხვევაში საერთაშორისო კრიზისები ერთიმეორეს მოჰყვება.

მაგრამ ცხოვრებამ და ისტორიამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ აიძულა ნატოს წამყვანი სახელმწიფოების მთავრობები რეალისტურად, უწინაწრახეოდ შეაფასონ ახლანდელი ვითარება მსოფლიოში და, ბოლოს, ხელი აიღონ გამალებული შეიარაღების პოლიტიკაზე. საბჭოთა მთავრობა მზად არის თუნდაც დღესვე მოაწეროს ხელი ხელშეკრულებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, რომელიც რაკეტულ-ატომური ომის აჩრდილს განდევნიდა ჩვენი პლანეტიდან.

მაგრამ, მიუხედავად მთელი ჩვენი მეცადინეობისა, იმპერიალისტური სახელმწიფოები ყოველნაირად აფერხებენ განიარაღების შესახებ შეთანხმების მიღწევას. ისინი ხელმძღვანელობენ მონოპოლიათა ინტერესებით, ხოლო ცნობილია, რა ინტერესები აქვთ მონოპოლიტებს. ბოდი და სკადე შეუთანხმდე განიარაღების შესახებ იმპერიალისტური მონოპოლიების რწმუნებულებს! შენ ეუბნები მას, რომ საჭიროა დაიმსხვრეს ომის მანქანა, იგი კი ანგარიშობს, ახალი სახეობის იარაღის წარმოებით რა მოგებას მივიღებთო.

საბჭოთა მთავრობის წინადადებაა შეათანხმონ საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამა, რომელიც გათვალისწინებულია 4-5 წლისათვის. დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები კი ამჯობინებენ საკითხს გარშემო უტრიალონ და ამბობენ, შეუძლებელია ივარაუდო, წლების შემდეგ საქმეები როგორ წარიმართებაო. მაგრამ როცა ნატოს შტაბებში სიტყვა ჩამოვარდება საომარი მზადების დაგეგმვაზე, მაშინ იქ წინასწარ ადგენენ შეიარაღების დაწვრილებით პროგრამებს მთელი ათწლეულისათვის.

იმპერი

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(დასასრული)

„ერნსოლიდაციას“. გარდა ამისა, თავდაუსხმელობის პაქტის დადებას, როგორც აღნიშნულია ამ „საქმეა გაცნობილი წრეების“ განცხადებაში, უკავშირებენ „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მონაწილეობის საკითხს, ესე იგი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობის პრობლემას“.

აი თურმე რა აწუხებთ. საფრანგეთის „საქმეს გაცნობილ წრეებსა“ მიუღებლად მიაჩნიათ მშვიდობის საქმის განმტკიცება, იმ მდგომარეობის დამკვიდრება, რომელიც ომის შემდეგ შეიქმნა ევროპაში. მათ ხელს არ აძლევს, რომ გერმანიის მიწაზე ორი სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფო დამკვიდრდა. მერედა, რა მოსდევს შექმნილი მდგომარეობის უარყოფას, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის უარყოფას? ეს ხომ დასავლეთ გერმანიის აგრესიული, რევანშისტული ძალების პლატფორმაა, რომლებსაც ხელი არ აუღიათ ევროპის რუკის გადაკეთების განზრახვაზე. დასავლეთ გერმანიის მთავრობა პირდაპირ აცხადებს, რომ არ ეთანხმება არსებულ საზღვრებს. რევანშისტებს დასახული აქვთ გეგმა, რომ ძალით შეცვალონ ევროპაში შექმნილი მდგომარეობა, მოსპონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს მათ უნდა შეიგნონ, რომ ამ მდგომარეობის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ომის გზით. ხომ არ შეიძლება სერიოზულად ფიქრობდნენ, რომ სოციალისტური ქვეყნების მთავრობები დაემგავსებიან, დასავლეთის ზოგიერთ მოღვაწეს, რომლებიც ვაჭრობენ თავიანთი ტერიტორიით, ვაჭრობენ თავიანთი ხალხების ინტერესებით.

ამას წინათ ჰოლანდია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შეუთანხმდა, რომ 270 მილიონ მარკად დაუთმოს ტერიტორია, რომელიც ომის შემდეგ ჰოლანდიელთა ხელში გადავიდა. თუ დასავლეთგერმანელ რევანშისტებს რაიმე იმედი აქვთ, რომ ეს გარიგება სოციალისტურ ქვეყნებთან სადავო საკითხების გადაჭრის პრეცედენტად გამოადგებათ, ისინი ძლიერ ცდებიან. ამაოა თქვენი იმედი, ბატონო იმპერიალისტებო!

როგორც ჩანს, საფრანგეთის „საქმეს გაცნობილმა წრეებმა“ არ გამოიტახეს დასკვნები იმ გაკვეთილებიდან, რომლებიც გერმანელმა მილიტარისტებმა მოუწყვეს საფრანგეთს. რამდენჯერ გათელეს მათ საფრანგეთის მიწა, შეურაცხყვეს იგი, მოსპეს ფრანგი პატრიოტები. ახლა კი საფრანგეთის მთავრობა უძმობილდება დასავლეთ გერმანიის მილიტარისტულ ძალებს.

მოვლენები, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომი გამოიწვიეს, ჯერ კიდევ ცოცხალია ხალხთა მეხსიერებაში. საფრანგეთში ცოცხალია ზოგიერთი მოღვაწე, რომლებიც უბიძგებდნენ ჰიტლერს აღმოსავლეთისაკენ, მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებისაკენ და ეკისრებათ პასუხისმგებლობა ამ პოლიტიკისათვის. უნდა გავიხსენოთ, საფრანგეთი რომ ერთგული დარჩენილიყო თავისი ვალდებულებისა — გაეწია დახმარება ჩეხოსლოვაკიისათვის, თუ ამ ქვეყანას თავს დაესხმოდა ჰიტლერული გერმანია, მეორე მსოფლიო ომი შეიძლება თავიდან აგვეცილებინა. იმ დროს საბჭოთა კავშირმა განაცხადა, რომ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი შეესრულებინა თავისი ვალდებულება ჩეხოსლოვაკიის მიმართ, დახმარებოდა აგრესიის შემთხვევაში.

მაგრამ საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა, რომლებთანაც საბჭოთა კავშირი აწარმოებდა მოლაპარაკებას აგრესიის თავიდან აცილების შესახებ, არათუ არ ისურვეს შეთანხმება გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და სხვა სახელმწიფოთა მოქმედების ერთიანობის შესახებ, არამედ ყოველი ღონე იხმარეს იმისათვის, რომ ჩაეფუშათ ეს მოლაპარაკება. ცნობილია, რომ ისინი ახორციელებდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჰიტლერული გერმანიის წასისიანების პოლიტიკას. და ჰიტლერმაც ფსარგებლა ამით. მაგრამ მან თავდაპირველად ლახვარი ჩასცა საფრანგეთს, ინგლისსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებს, შემდეგ კი თავს დაესხა საბჭოთა კავშირს.

ყოველივე ეს გაკვეთილი უნდა ყოფილიყო დასავლეთის პოლიტიკურ მოღვაწეთათვის. ამავე დროს საფრანგეთის ახლანდელი მმართველი წრეები ახლაც ახორციელებენ თითქმის ისეთსავე პოლიტიკას, როგორსაც ახორციელებდა საფრანგეთის მთავრობა მეორე მსოფლიო ომის წინ. ისინი უძმობილდებიან დასავლეთგერმანელ რევანშისტებს, მფარველობენ მათ, არა სურთ ცხონ ცვლილებანი, რომლებიც მოხდა ევროპაში ჰიტლერული გერმანიის განადგურების შედეგად.

რა არის ეს, თუ არა რევანშისტული ძალების წაქეზება ახალი სამხედრო კონფლიქტის გაჩაღებლად? რევანშისტთა და მათ მომხრეთა უგუნურმა პოლიტიკამ შეიძლება უდიდესი უბედურება მოუტანოს ხალხებს. კარგად არის ცნობილი, თუ რით დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი. თუ ახალი ომი გაჩაღდება, მაშინ იმათთვის, ვინც მას გააჩაღებს, იგი სრული კრახით დამთავრდება ომის პირველსავე დღეს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ხალხები შეიგნებენ, თუ რაოდენ საშიშია დასავლეთ გერმანიის რევანშიზმისათვის მხარდაჭერის პოლიტიკა. რევანში ომის დასაწყისია, რომელიც უთუოდ შემობრუნდება საფრანგეთის წინააღმდეგაც.

დაძაბულობა ევროპის ცენტრში, რასაც იწვევს ის, რომ დადებული არ არის გერმანიის საზავო ხელშეკრულება, წლითიწლობით ძირს უთხრის კაცობრობის ამ ომედს, რომ მშვიდობა განმტკიცდება. სანამ არ დაიღება საზავო ხელშეკრულება და ამით არ გადაიჭრება გერმანიის საკითხი, მანამდე სიმშვიდე არ იქნება ევროპაში და, მაშასადამე, მთელ მსოფლიოში.

ამიტომ საბჭოთა მთავრობა კვლავაც ეცდება დაარწმუნოს ჩვენი ყოფილი მოკავშირე სახელმწიფოების მთავრობები, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს მეორე მსოფლიო ომის ნაშთებს.

საჭირო არ არის დაწვრილებით ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რა პოზიცია უჭირავს საბჭოთა კავშირს გერმანიის საკითხში. ჩვენი წინადადებები კარგად არის ცნობილი. მინდა მხოლოდ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საბჭოთა კავშირი გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგების შედეგად არაფერს არ მიიღებდა ისეთს, რაც სარგებლობას არ მოუტანდა ყველა სახელმწიფოს. საზღვრები ხელშეუხებელი დარჩებოდა. იარსებებდა დასავლეთი ბერლინი და ჩვეულებრივი საერთაშორისო ნორმების საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნებოდა მისი თავისუფალი ურთიერთობა გარე სამყაროსთან. თავისი ჩვეულებრივი ცხოვრებით იცხოვრებდა ორივე გერმანული სახელმწიფო. ამავე დროს გაფორმდებოდა ფაქტიური მდგომარეობა, რომელიც წარმოიშვა ჰიტლერელ აგრესორთა განადგურების შედეგად, აღიმართებოდა დაბრკოლებანი გერმანიის რევანშიზმის წინააღმდეგ. ნატოს ალაში დასავლეთ ბერლინში შეიცვლებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით.

ყოველივე ეს გააჯანსაღებდა ვითარებას ევროპაში, რაც სურთ არა მარტო სოციალისტური ქვეყნების ხალხებს, არამედ კაპიტალისტური ქვეყნების ხალხებსაც. მაშინ შეიქმნებოდა ვითარება, რომელიც იქნებოდა უკვე არა ბარიერი, არამედ ტრამპლინი იმ ძირეულ პრობლემებზე შეთანხმებათა მისაღწევად, რომლებიც სახავენ საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების გზას, უწინარეს ყოვლისა, განიარაღების პრობლემაზე შეთანხმების მისაღწევად.

მაგრამ ამას ხელს უშლიან საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების მოწინააღმდეგენი, რომლებსაც სულაც არ დაუყრიათ იარაღი. ეს თითქმის ყოველ ნაბიჯზე იჩენს თავს. ისინი, მაგალითად, ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ კიდევ უფრო მომძლრეს საერთაშორისო ვაჭრობა, რომლის განვითარებაზე ბევრად არის დამოკიდებული სახელმწიფოთა თანამშრომლობის მოწესრიგება და მათ შორის ნდობის დამყარება.

ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მოახდინა უხეში ზეგავლენა დასავლეთ გერმანიაზე, იაპონიაზე, შვეიცარიასა და სხვა ქვეყნებზე, რათა ჩაეფუშა ის საქმე, რომ მათ შეესრულებინათ ხელშეკრულება საბჭოთა კავშირისათვის ფოლადის მილების მიწოდების შესახებ. ამერიკის მთავრობა, ეტყობა, ისე დააშინა კომუნიზმმა, რომ არათუ არ სურს მიიღოს საარგებლობა ჩვენთან ვაჭრობით, არამედ ხელს უშლის სხვა ქვეყნებსაც.

თუ თვით შეერთებულ შტატებს არა სურთ ივაჭრონ საბჭოთა კავშირთან, ეს მათი საქმეა, თუმცა, რასაკვირველია, ასეთი პოზიცია როდი უწყობს ხელს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებას. მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე ეხება სხვა რამეს — შეერთებული შტატების ჩარევას მესამე ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში. რა არის ეს, თუ არა „ცივი ომის“ უგუნური პოლიტიკის გამოვლინება?!

ჩვენ ზუსტად არ ვიცით, ვინ ხგებს პასუხს შეერთებულ შტატებში ამ ნაბიჯებისათვის — სამხრეულებიანი თუ უსამხრეულებო ადამიანები. მაგრამ ვინც უნდა იყოს, ისინი იმედს ამყარებენ ძველ და ბევჯერ ჩაფუშულ ცდაზე — ეკონომიურ ომზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. რეალურად მოაზროვნე პოლიტიკოსთათვის ცხადი უნდა იყოს, რომ შეერთებული შტატები სრულიად მცდარ გზას ადგანან.

ჯერ კიდევ ამ ერთი წლის წინათ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა მოახსენა საბჭოთა მთავრობას, რომ ჩვენ შეგვიძლია სავსებით განვთავისუფლდეთ გაზსადენებისა და ნავთობსადენებისათვის საჭირო დიდი დიამეტრის მილების იმპორტისაგან და შევწყვიტოთ შეკვეთების მიცემა მათ შესაძენად საზღვარგარეთ. საბჭოთა მთავრობა არ დაეთანხმა ამას. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ კარგი საქმიანი ურთიერთობა გვაქვს დამყარებული უცხოეთის ზოგიერთ ფირმასთან და ჩვენი შეკვეთებით ამ ფირმებმა განავითარეს მილის გლინვის დიდი სიმძლავრენი. ცხადია, უხერხული იქნებოდა, რომ ჩვენ, რომლებმაც ხელი შევუწყეთ უცხოეთის ფირმებს განვითარებინათ ეს წარმოება, მოულოდნელად შეგვემცირებინა შეკვეთები ან სავსებით შეგვეწყვიტა ისინი. საბჭოთა კავშირი თავის საგარეო ვაჭრობას აგებს მრავალი წლის ვარაუდით, და არა აქვს განზრახული უღალატოს თავის სავაჭრო პარტნორებს.

რაც შეეხება იაპონიას, შარშან მე მივიღე იაპონელ კაპიტალისტთა, ფრიად დარბაისელ ადამიანთა დიდი ჯგუფი. მათ თვითონვე გვთხოვეს, რომ მიგვეცა იაპონიისათვის შეკვეთები მილების საწარმოებლად, რაც შესრულდა კიდევაც.

ახლა კი დასავლეთ გერმანიის, იაპონიის ფირმებმა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ფირმებმა, რომლებიც განიცდიან თავიანთ მთავრობათა ზეგავლენას, საბოლოო ანგარიშით კი შეერთებული შტატების ზეგავლენას, უნდა იფიქროს იმაზე, რომ ამ მილების გამო არ გაკოტრდნენ თავიანთ კონკურენტთა გასახარბლად. შეგვიძლია მხოლოდ თანავუგრძნოთ ამ ქვეყნების საქმიან ადამიანებს.

ამბობენ, რომ რაც უფრო მსხვილია მილი, მით უფრო დიდ შიშს ნერგავს იგი შეერთებულ შტატებში. ეს ხომ „სტრატეგიული მასალაა“, ამბობენ იქ. რასაკვირველია, სტრატეგიული მასალად შეიძლება მივიჩნიოთ ყველაფერი, რაც გხებავთ, ღილიც კი, იმიტომ რომ ღილი შეიძლება დააკერო ჯარისკაცის შარვალზე. ჯარისკაცი უღილო შარვალს არ ჩაიცვამს, ვინაიდან დასჭირდებოდა ხელით დაეჭირა შარვალი. მაშინ იარაღს როგორღა მოიხმარდა? თუ ასე ვიმსჯელებთ, ღილიც უაღრესად სტრატეგიული მასალაა. ასე ყოველი საქმე შეიძლება სრულ აბსურდამდე მიიყვანო.

ამხანაგებო! სულ ცოტა ხნის წინათ კაცობრიობამ განიცადა უაღრესად საშიში კრიზისი კარიბის ზღვის რაიონში, რომელიც ამერიკის იმპერიალიზმმა წარმოშვა. შეერთებული შტატების აგრესიული წრეები ამზადებდნენ შეიარაღებულ თავდასხმას კუბაზე, საბჭოთა კავშირმა კი დახმარების ხელი გაუწოდა კუბელ ხალხს. მშვიდობისმოყვარე ძალებმა შეაჩერეს მოახლოებული თერმოატომური ომი, კრიზისი კარიბის ზღვის რაიონში მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრა.

მაგრამ, როგორც მოვლენები ცხადყოფენ, ამერიკელ იმპერიალისტებს, ეტყობა, ხელი არ აუღიათ აგრესიისა და პროვოკაციების პოლიტიკაზე. ახლა ამერიკის ყველაზე აგრესიული წრეები, ანუ, როგორც მათ ამერიკელები უწოდებენ, „ცოფიანები“, მოუწოდებენ ამერიკის მთავრობას შეიჭრას კუბაში ინ საბაბით, რომ კუბა ვითომ საფრთხეს უქმნიდეს შეერთებულ შტატებს. მაგრამ განა რომელიმე სერიოზული ადამიანი დაიჯერებს ამ მონაჭორს?

შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეები, თურმე ნუ იტყვით, უკმაყოფილონი არიან კუბის სოციალურ-პოლიტიკური წყობილებით. ამიტომ ისინი უხეშად თელავენ კუბელი ხალხის ელემენტარულ უფლებებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს, რომლებშიც გამოცხადებულია ჩაურევლობა სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, მათი სუვერენიტეტისა და ღირსების პატივისცემა.

მაგრამ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში იმ საზომით რომ ვიხელმძღვანელოთ, რომ მოსწონს თუ არ მოსწონს ერთ ქვეყანას მეორე ქვეყნის სოციალური წყობილება, მაშინ ომი გარდუვალი გახდება. ის წყობილებაც, რომელიც საბჭოთა კავშირში არსებობს, ხომ არ მოსწონთ შეერთებულ შტატებს. ხოლო თუ ჩვენ შეგვეკითხებიან შეერთებული შტატების წყობილებაზე, ვუპასუხებთ, რომ საბჭოთა ადამიანებსაც არ მოსწონთ შეერთებული შტატების წყობილება.

„ცოფიანები“ შეერთებული შტატების მთავრობას უბიძგებენ დაადგეს კუბაში შეჭრის დანაშაულებრივ და ვერაგულ გზას, აცხადებენ, რომ არ შეიძლება აიტანო სხვაგვარად მოაზროვნე მეზობელი. მაგრამ ეს რა ლოგიკაა? სხვა ქვეყნებსაც ჰყავთ სხვაგვარად მოაზროვნე მეზობლები, რომელთა წყობილება არ მოსწონთ. თუ შეერთებული შტატები განახორციელებენ აგრესიულ მოქმედებას კუბის წინააღმდეგ, ხოლო საბჭოთა კავშირი — თავისი სხვაგვარად მოაზროვნე მეზობლების წინააღმდეგ, შეიქმნება ქაოსი, რასაც გარდუვალად მოჰყვება ომი.

შეერთებული შტატების მთავრობას არ შეიძლება არ ესმოდეს, რომ კუბაში შეჭრა, თუ ეს დაშვებულ იქნა, შეუთავსებელია ვალდებულებებთან, რომლებიც იკისრა მან კარიბის ზღვის რაიონის კრიზისის მომენტში. ცნობილია, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა იკისრა ვალდებულებანი, რომ არ შეიჭრება კუბაში, ჩვენ კი დავთანხმდით იმას, რომ გამოგვეტანა კუბიდან სტრატეგიული რაკეტები და ბომბდამშენები ილ-28, და გამოვიტანეთ კიდევაც. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ჩვენ გმირი კუბა დავტოვეთ ამერიკის იმპერიალიზმის დიდ მტაცებელთა შესაჭმელად. ჩვენ კუბელ ხალხს მივეცით სიტყვა, ძმური სიტყვა, რომ საბჭოთა კავშირი დაეხმარება კუბას, და არც მივატოვებთ მას გასაჭირში.

ჩვენ გვინდა, რომ უზრუნველყოფილი იყოს მშვიდობა, გვინდა ვიცხოვროთ მშვიდობითა და მეგობრობით ყველა ხალხთან. ჩვენ მეგობრობის ხელს ვუწვდით ამერიკელ ხალხს და, როგორც არაერთგზის განგვიცხადებია, გვინდა რომ ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარდეს ნორმალური კარგი ურთიერთობა.

მაგრამ იმისათვის, რომ მსოფლიოში ნორმალური გითარება შეიქმნას, საჭიროა, რომ არც ერთი სახელმწიფო არ ერეოდეს სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, რომ მტკიცედ დაიცვან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპები, პატივს სცემდნენ ყველა სახელმწიფოს სუვერენულ უფლებებს.

მაგრამ, თუ იმპერიალისტები გათელავენ ხალხთა იმ უფლებას, რომ თვითონ ირჩევდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობილებას, რომელიც მათ მოსწონთ, თუ ისინი ეცდებიან თავს მოახვიონ ხალხებს თავიანთი წესწყობილება, ეს გამოიწვევს მსოფლიო თერმოატომურ ომს.

ამიტომ ჩვენ გადაჭრით ვაფრთხილებთ ბატონ იმპერიალისტებს: თუ თავს დაესხმიან კუბას ან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, რომელსაც საფრთხეს უმზადებენ ტაივანიდან, სადაც მოკალათებული იყო ჩანკაიშელთა ხროვა, რომელიც მხოლოდ ამერიკელ იმპერიალისტთა მხარდაჭერით არსებობს, თუ თავს დაესხმიან კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას ან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ან ყოველ სხვა სოციალისტურ ქვეყანას. — მაშინ საბჭოთა კავშირი დაეხმარება თავის მეგობრებს და გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემს აგრესორებს.

ამ დღეებში ჩვენ აღვნიშნეთ საბჭოთა შეიარაღებული ძალების შექმნის 45-ე წლისთავი, რომლებიც მტკიცედ დგანან ხალხის უშიშროებისა და ინტერესების სადარაჯოზე. თავდაცვის მინისტრმა მარშალმა რ. ი. მალინოვსკიმ თავის მოხსენებაში ამ ზეიმის გამო გადაჭრით გააფრთხილა უკანასკნელ ხანს აღვირახსნილი ზოგიერთი ოკეანესგაღმელი მოღვაწენი: ნუ ეთამაშებით ცეცხლს, გონს მოდით, უბედურება არ დაატეხოთ თავს საკუთარ ქვეყანას! დაე ნუ დაივიწყებენ ამას ის უზომოდ ქედფიცხელი ვაჟბატონები, რომლებიც მზად არიან სოციალიზმისა და კომუნიზმისადმი თავიანთი სიძულვილის გამო ჩაიდინონ ყოველგვარი ავანტიურა.

ასეთია სინამდვილე, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. იგი გვაიძულებს მუდამ გვახსოვდეს და მუდამ ვზრუნავდეთ ჩვენი თავდაცვის მოთხოვნილებებისათვის, რათა საბჭოთა კავშირს შეეძლოს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს თავით ფეხთამდე შეიარაღებულ იმპერიალისტურ ბანაკს. უნდა გვქონდეს ისეთი ძალა, რომ იმპერიალისტებმა იცოდნენ: თუ ატეხენ ატომურ ომს, თვითონ დაიწვიან ამ ომის ცეცხლში.

რა თქმა უნდა, საერთაშორისო მდგომარეობა რომ უკეთესი იყოს, რომ მივაღწიოთ შეთანხმებას და მოვიშოროთ შეიარაღების ტვირთი, ეს გაამრავლებდა შესაძლებლობებს ხალხის ეკონომიკის შემდგომ აღმავლობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა ისედაც იზრდება, მაგრამ მაშინ იგი გაცილებით უფრო სწრაფად გაიზრდებოდა.

გულახდილად უნდა ითქვას: როცა მთავრობაში განიხილავენ დარგების მიხედვით სახსრების განაწილების საკითხებს — სად და რამდენი წარიმართოს არსებული მატერიალური რესურსები, ხშირად საჭირო ხდება ძნელი, თავსმტვრევი საკითხების გადაწყვეტა. ერთი მხრივ, გვინდა ვაშენოთ მეტი საწარმოები, რომლებიც პროდუქციას უშვებენ ადამიანის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, აწარმოებენ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს და სხვა საქონელს, რაც აუმჯობესებს ადამიანთა ყოფა-ცხოვრებას, გვინდა მეტი სახსრები მოვახმაროთ სოფლის მეურნეობას, გავაფართოოთ საბინაო მშენებლობა.

ჩვენ გვესმის, რომ ეს საჭიროა ხალხისათვის, ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები თვითონ გამოვიდნენ ხალხიდან, იციან მისი საჭიროებანი, მასთან ერთი ცხოვრებით ცხოვრობენ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძირითადი მიზანია მისცეს მეტი სიკეთე ხალხს. ამ მიზნისათვის მოახდინეს მუშათა კლასმა, მშრომელმა გლეხობამ დიდი ლენინის, კომუნისტების პარტიის ხელმძღვანელობით ოქტომბრის რევოლუცია, ააშენეს სოციალიზმი.

მეორე მხრივ, ცხოვრება გვიკარნახებს, რომ საჭიროა უზარმაზარი სახსრები ვხარჯოთ იმისათვის, რომ ჯეროვან სიმაღლეზე იყოს ჩვენი სამხედრო ძლიერება. ეს, რა თქმა უნდა, აძცირებს და არც შეიძლება არ აძცირებდეს იმის შესაძლებლობას, რომ ხალხმა მიიღოს უშუალო დოვლათი. მაგრამ ეს საჭიროა, რათა დავიცვათ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარნი, სოციალიზმის მონაპოვარნი, შევაჩეროთ იმპერიალისტები, რომ თავს არ დაესხან ჩვენს სამშობლოს, არ ატეხონ საყოველთაო ომი.

აი ამიტომ, როცა არსებულ რესურსებს ვანგარიშობთ, ჩვენ ფხიზლად უნდა გავითვალისწინოთ მშვიდობიანი ეკონომიკის საჭიროებანი და თავდაცვის მოთხოვნილებანი, ისე შევუხამოთ ერთმანეთს ერთიც და მეორეც, რომ არ გაგვიტაცოს რომელიმე მათგანმა. ვფიქრობ, არც ერთი სალად მოაზროვნე ადამიანი არ უსაყვედურებს ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ ისინი ასეთ პოლიტიკას ახორციელებენ.

პირიქით, ამომრჩევლებს — მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას უფლება აქვთ დაგმონ როგორც დანაშაული, ჯეროვნად რომ არ შევაფასოთ საბჭოთა ქვეყნის თავდაცვა იმის გამო, რომ გვსურს თავი გამოვიჩინოთ არაჩვეულებრივი წარმატებებით ადამიანის ყოველდღიურ საჭიროებათა დაკმაყოფილებაში. ჩვენმა ხალხმა გამოცდილებით იცის, რომ ეს არ შეიძლება დავუშვათ.

საბჭოთა ხალხმა გადაიტანა მეორე მსოფლიო ომი, რომელშიც ჩვენმა ქვეყანამ მილიონობით ადამიანი დაკარგა, დაინგრა ქალაქები და სოფლები საბჭოთა კავშირის ტერიტორიის დიდ ნაწილში. ჩვენი ჯარების იძულებული უკანდახევა ვოლგამდე ომის დასაწყის პერიოდში გამოწვეული იყო საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის მომზადებაში დაშვებული შეცდომებითაც. არ შეიძლება დავუშვათ ასეთი შეცდომების გამეორება.

ამიტომ ჩვენი პარტია და მთავრობა მუდამ ზრუნავენ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალებისათვის. ჩვენი ქვეყანა უზრუნველყოფს საბჭოთა არმიას ყველაზე თანამედროვე იარაღით. იმპერიალისტებმა უნდა იცოდნენ, რომ თუ ისინი ატეხენ ომს, ჩვენი შეიარაღებული ძალები გამანადგურებელ დარტყმას მიაყენებენ მტერს, რათა ომის პირველსავე დღეს უკუაგდონ და გაანადგურონ იგი.

საბჭოთა მეცნიერებმა, ინჟინრებმა, მუშებმა ჩვენი არმიისათვის შექმნეს მშვენიერი შეიარაღება, რომელიც წლითიწლობით გროვდება. მეცნიერება და ტექნიკა განუწყვეტლივ ვითარდება და ქმნის სულ უფრო სრულყოფილ შეიარაღებას. იმ პირობებში, როცა იმპერიალისტებს არ უნდათ საყოველთაო და სრული განიარაღება, ჩვენ იძულებული ვართ განუწყვეტლივ განვაახლოთ ძველი შეიარაღება, ეს კი დიდ სახსრებს მოითხოვს. გამალებული შეიარაღების ასეთი პროცესი, როგორც ჩანს, გაგრძელდება, და თერმოატომური ომის საფრთხე კვლავ იქნება, სანამ იმპერიალისტური ქვეყნების ხალხები თავიანთი აქტიური და მტკიცე ბრძოლით არ მიაღწევენ აგრესიული წრეების იზოლაციას და ისეთ მთავრობათა შექმნას თავიანთ ქვეყნებში, რომლებსაც შეგნებული ექნებათ აგრესიისა და „ცივი ომის“ საფრთხე და დათანხმდებიან საყოველთაო და სრულ განიარაღებაზე.

თუ ამჟამად შენარჩუნებულია მშვიდობა, ეს, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ არსებობს საბჭოთა კავშირი, თანამეგობრობა სოციალისტური ქვეყნებისა, რომლებსაც აქვთ სწრაფად მზარდი ეკონომიკა და სჯობნიან იმპერიალისტურ ბანაკს შეიარაღებითა და შეიარაღებული ძალებით. მაგრამ თუ ყურადღებას აღარ მივაქცევთ ჩვენს თავდაცვისუნარიანობას, მაშინ ძალთა თანაფარდობა შეიძლება ჩვენს სასარგებლოდ არ შეიცვალოს. ამ გზით შეიძლება ეკონომია გავწიოთ, მაგრამ ასეთი ეკონომია უნდა ვზღოთ ხალხის სისხლით, იმ ფასეულობათა ომის ცეცხლში მოსპობით, რომლებიც შექმნეს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური [illegible] სხვა ქვეყნების მუშებმა, გლეხებმა, ყველა მშრომელმა. აი რატომ არის საჭირო [illegible] იმისათვის, რომ არ დავუშვათ ომი.

ჩვენ ომი არ გვესაჭიროება; საბჭოთა კავშირს სურს ეჯიბრებოდეს კაპიტალიზმს მშვიდობიან ასპარეზზე და მაგალითის გზით დაამტკიცოს ჩვენი მარქსისტულ-ლენინური თეორიის უპირატესობანი, სოციალისტური ეკონომიკის, ჩვენი წყობილების უპირატესობანი.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიისა და სხვა სახელმწიფოების ინტერვენტები თავს დაესხნენ ახალგაზრდა სოციალისტურ სახელმწიფოს. მაგრამ ჩვენი ქვეყნის ხალხებმა, რომლებიც ლენინისა და თავიანთი მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო დაირაზმნენ, გაანადგურეს ინტერვენტები და იმპერიალისტური სიბილწისაგან გაწმინდეს სამშობლო.

საერთაშორისო რეაქცია ცდილობდა გერმანიის ფაშიზმის ხელით ჩაეხრჩო ჩვენი სოციალისტური ქვეყანა. მაგრამ საბჭოთა კავშირის ველებზე ჰიტლერულმა გერმანიამ თავისი აღსასრული ჰპოვა. ხოლო ისინი, ვინც მას ჩვენს წინააღმდეგ აქეზებდა, თვითონ სასტიკად დაზარალდნენ გერმანელი აგრესორებისაგან.

იმპერიალისტებს ახლაც შეუძლიათ ატეხონ ომი — ამისათვის დიდი ჭკუა როდია საჭირო — და აურაცხელი უბედურება და ტანჯვა მიაყენონ ხალხებს. მაგრამ ეს იქნება მათი უკანასკნელი ავანტიურა.

* * *

ამხანაგებო! საერთაშორისო საქმეებში საბჭოთა მთავრობის მოქმედების პროგრამა ნათელი და გასაგებია. იგი გამოხატავს ჩვენი ქვეყნის ხალხთა გულწრფელ მისწრაფებას მშვიდობისადმი, სუფთარი ძალების რწმენას, იმის რწმენას, რომ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებს ძალუძთ დაიცვან მშვიდობის საქმე.

ჩვენ, რა თქმა უნდა, იმაზე როდი ვამყარებთ იმედს, რომ მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ჩვენს პოლიტიკას თავისთავად აღიარებენ იმპერიალისტები, რომ ისინი მოვლენ და გვეტყვიან: დიახ, თქვენ მართალი ხართ, ჩვენ კი ვცდებოდით, დაე თქვენებურად იყოსო, არა, ჩვენი ვარაუდები ასეთ მერყეულ ნიადაგზე როდი შენდება.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა ეყრდნობა ჩვენი ეკონომიური და სამხედრო ძლიერების მტკიცე საძირკველს, მთელი დიადი სოციალისტური თანამეგობრობის ძლიერებას. არავის არ უნდა ეპარებოდეს ეჭვი, რომ სოციალისტურ ქვეყნებს შეუძლიათ გაანადგურონ ყოველი აგრესორი, წინააღმდეგობა გაუწიონ სოციალიზმისა და კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის შეფერხების ყოველ ცდას.

კომუნიზმის მტრები, მუშათა ვლასის მტრები ყოველნაირად აღვივებენ უთანხმოებას კომუნისტურ პარტიებს შორის, გაძლიერებით ამტკიცებენ, რომ ამ უთანხმოებას მოჰყვება სოციალისტური ქვეყნების ძმური მეგობრობის დაშლა, კომუნისტური მოძრაობის შენელება. რა შეიძლება ითქვას ამის გამო? იმპერიალისტებს არაერთხელ დაუმყარებიათ იმედი სხვადასხვა ჯურის ჯაგლაგებზე და ყოველთვის კოვზი ნაცარში ჩავარდნიათ. ჩვენ ახლაც შეგვიძლია ვუთხრათ მათ, რომ კომუნისტური პარტიები ვერაფრით ვერ გაახარებენ თავიანთ მტრებს. დაე კომუნიზმის მტრები ნუ შეიქმნიან ილუზიებს ამ მხრივ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მომმე პარტიები მოიკრებენ ძალღონეს და დაძლევენ უთანხმოებებსა და დავას, რომლებიც წარმოიშობა მათ შორის. ყველა ქვეყნის კომუნისტურ პარტიებს შორის, მუშათა კლასს შორის მიღწეულ იქნება კიდევ მეტი შეკავშირება უკვდავი ლენინურ ზეგნით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“. კომუნისტური პარტიები ყოველთვის იყვნენ და იქნებიან მარქსისა და ენგელსის ამ ლოზუნგის ერთგულნი. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით და გავაკეთებთ იმისათვის, რომ ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ და შევაკავშიროთ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი, მშრომელები, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა დიადი მარქსისტულ-ლენინური დროშით.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების ცოტა ხნის შემდეგ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ამბობდა: „ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს სრული სიმტკიცითა და აბსოლუტური რწმენით შევყურებდეთ მომავალს, რომელიც გვიმზადებს ახალ მოკავშირეებს, სოციალისტური რევოლუციის ახალ გამარჯვებებს...“

დიახ, საბჭოთა ადამიანებს ყველა საფუძველი აქვთ რწმენით შეჰყურებდნენ თავიანთ მომავალს. ჩვენი ქვეყანა სწორ მარქსისტულ-ლენინურ გზას ადგას. ჩვენს წინაშე დასახულია ფართო პერსპექტივები.

საბჭოთა სახელმწიფოს ძალები მრავლდება. საბჭოთა ხალხის წინსვლა კომუნიზმისაკენ უძლეველია!

**ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა დამსწრეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს და მრავალგზის შეაწყვეტინეს მჭუხარე ხანგრძლივი ტ

კომუნისტთა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატები

დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად რეგისტრაციაში გაატარეს:

ქ. თბილისი

იაშვილი გლადიმერ ილიას-ძე — ბეჭალის № 1 საარჩევნო ოლქში
ზერეკიძე ირაკლი იოსების-ძე — საქარხნო № 2 საარჩევნო ოლქი
ფირცხალავა შოთა აკაკის-ძე — ღრმადღელის № 3 საარჩევნო ოლქში
ჯანჯღავა ვარლამ სოსრამის-ძე — ყდანოვის № 4 საარჩევნო ოლქში
რუსიშვილი თამარ ალექსანდრეს ასული — პიონერის № 5 საარჩევნო ოლქში
დოლიძე შოთა ანდრიას-ძე — თბილისის № 6 საარჩევნო ოლქში
იამანიძე ჯამბული კანდიდის-ძე — ლიკანის № 7 საარჩევნო ოლქში
გოცირიძე გიქტორ დავითის-ძე — ლენინის № 8 საარჩევნო ოლქში
ზარდიაშვილი ალექსანდრე გიორგის-ძე — რკინიგზის № 9 საარჩევნო ოლქში
აბასაშვილი შოთა გიორგის-ძე — კომკავშირის № 10 საარჩევნო ოლქში
აკოფოვი მირდად სარქისის-ძე — კუიბიშევის № 11 საარჩევნო ოლქში
ჯეირანაშვილი ლამარა მიხეილის ასული—ლოტკინის № 12 საარჩევნო ოლქში
ობოლაძე გრუშო. ივანეს-ძე — დღიმის № 13 საარჩევნო ოლქში
სობოლევა ვერა ალექსის ასული — დიდუბის № 14 საარჩევნო ოლქში
ფარცვანია გიორგი დიანოზის-ძე — ქუთაისის № 15 საარჩევნო ოლქში
ებრალიძე გიქტორია სამსონის ასული — ტელმანის № 16 საარჩევნო ოლქში
ურთმელიძე ეფემია ალექსანდრეს ასული — პირველი მაისის № 17 საარჩევნო ოლქში
ჯავახიშვილი გივი დიმიტრის-ძე — ჩელუსკინელების № 18 საარჩევნო ოლქში
ნაცვლიშვილი ლამარა სამსონის ასული — 25 თებერვლის № 19 საარჩევნო ოლქში
შევარდნაძე ედუარდ ამბროსის-ძე — ნინოშვილის № 20 საარჩევნო ოლქში
ლადიძე რევაზ ილიას-ძე — მარჯანიშვილის № 21 საარჩევნო ოლქში
ვაშაკიძე გრიგოლ სილიბისტროს-ძე — ოქტომბრის № 22 საარჩევნო ოლქში
ლეგოვცევი მიხეილ ვასილის-ძე — მარქსის № 23 საარჩევნო ოლქში
დანელია მელიტონ მიხეილის-ძე — ბერკეულაძის № 24 საარჩევნო ოლქში
ჭავჭავაძე ვლადიმერ ვალერიანის-ძე — კლარა ცეტკინის № 25 საარჩევნო ოლქში
ჯანაშვილი ოლღა ზაქარიას ასული — ტოლსტოის № 26 საარჩევნო ოლქში
კვატაშიძე ვიქტორ ნიკოლოზის-ძე — გორკის № 27 საარჩევნო ოლქში
შადინოვა ასია ნიკოლოზის ასული — პეტრიწის № 28 საარჩევნო ოლქში
ლოგინოვი ვასილ სამსონის-ძე — შრომის № 29 საარჩევნო ოლქში
ჯაფარიძე თამარ იგანეს ასული — ბაბარეთის № 30 საარჩევნო ოლქში
ბოგდანოვა პოლინა ნიკოლოზის ასული — საბჭოს № 31 საარჩევნო ოლქში
მეკავანაძე ვასილ პავლეს-ძე — ენგელსის № 32 საარჩევნო ოლქში
ნინოშვილი ვახტანგ იოსების-ძე — კალინინის № 33 საარჩევნო ოლქში
ჩახავა მედეია ვასილის ასული — ძერჟინსკის № 34 საარჩევნო ოლქში
შენგელია გივი სერაფიონის-ძე — გრიბოედოვის № 35 საარჩევნო ოლქში
ბელოუსოვა თამარ ვასილის ასული — მოსკოვის № 36 საარჩევნო ოლქში
მუშკუდიანი თენგიზ ვარლამის-ძე — ტუსაფის № 37 საარჩევნო ოლქში
ბელტიხინი თენგიზ ეფრემის-ძე — სამრეწველო № 38 საარჩევნო ოლქში
ზუნია ზაურ მიხეილის-ძე — 300 არაგველის № 39 საარჩევნო ოლქში
ოდანოვა კლავდია ივანეს ასული — კიროვის № 40 საარჩევნო ოლქში
ლორთქიფანიძე სიმონ სევერიანის-ძე — ლესელიძის № 41 საარჩევნო ოლქში
პანკოვა ნინა მიხეილის ასული — პუშკინის № 42 საარჩევნო ოლქში
რამიშვილი ნინო შალვას ასული — ბარათაშვილის № 43 საარჩევნო ოლქში
ყვანნა ნინო ალესქერის ასული — ორჯონიკიძის № 44 საარჩევნო ოლქში
ძოწენიძე გიორგი სამსონის-ძე — მელიქიშვილის № 45 საარჩევნო ოლქში
ბუაჩიძე იოსებ მოსეს-ძე — ლ. კეცხოველის № 46 საარჩევნო ოლქში
ხარაძე ეგგენი კირილეს-ძე — გაკის № 47 საარჩევნო ოლქში
ჯანჯალიაშვილი კონსტანტინე ირაკლის-ძე — სტუდენტთა № 48 საარჩევნო ოლქში
გეგეშიძე გიორგი ანდრიას-ძე — ფალიაშვილის № 49 საარჩევნო ოლქში
რაშოეკა დარეჯან ნიკოლოზის ასული — კოლხიდის № 50 საარჩევნო ოლქში
მეგრელიშვილი კარლო სიმონის-ძე — პავლოვის № 51 საარჩევნო ოლქში
ბერიტაშვილი ივანე სოლომონის-ძე — საბურთალოს № 52 საარჩევნო ოლქში
სალუქვაძე ეთერი არტემის ასული — ვეძისის № 53 საარჩევნო ოლქში
კისელევი ნიკოლოზ მიხეილის-ძე — ფილისის № 54 საარჩევნო ოლქში
მაისურაძე თამარ მეთოდეს ასული — მშენებელთა № 55 საარჩევნო ოლქში
სოკოლოვა ნატალია ნიკოლოზის ასული — ვაჟა-ფშაველას № 56 საარჩევნო ოლქში
გომელაური ნიკოლოზ გიორგის-ძე — ნასაკირალის № 57 საარჩევნო ოლქში
ჩერქეზია ოთარ ეეტხის-ძე — 26 კომისრის № 58 საარჩევნო ოლქში
ჩხარტიშვილი სევერიან კვინტინის-ძე — შაუმიანის № 59 საარჩევნო ოლქში
მოსაშვილი თეიმურაზ ილიას-ძე — ჯაფარიძის № 60 საარჩევნო ოლქში
აბყანიძე ნაფილა ნიკოლოზის ასული — ა. წერეთლის № 61 საარჩევნო ოლქში
ხუნდაძე გიორგი რომანის-ძე — ფოლეტოვის № 62 საარჩევნო ოლქში
აფხაზიშვილი ლიუსია ნიკოლოზის ასული — მახათის № 63 საარჩევნო ოლქში
მართაშვილი ელენე ნიკოლოზის ასული — ი. ჭავჭავაძის № 64 საარჩევნო ოლქში
სამადლაშვილი ივანე ზაქარიას-ძე — ვახტანგის № 65 საარჩევნო ოლქში
ხარატიშვილი ირვანდ პაოლოს-ძე — ისნის № 66 საარჩევნო ოლქში
ასტვაცატოროვა ადა არისტაკეს ასული — 5 დეკემბრის № 67 საარჩევნო ოლქში
ხვედელიანი იაკობ რომანოზის-ძე — ნავთლუღის № 68 საარჩევნო ოლქში
როვენკოვი ნიკოლოზ ივანეს-ძე — დიმიტროვის № 69 საარჩევნო ოლქში
ივანოვი ვასილ პეტრეს-ძე — ლოპეზის № 70 საარჩევნო ოლქში

გარდაბანის რაიონი

მამუკაშვილი ილია ალექსის-ძე — მარტყოფის № 71 საარჩევნო ოლქში
ბერძენიშვილი პავლე ეპიფანეს-ძე — ორხევის № 72 საარჩევნო ოლქში
დათუაშვილი დიდიმ აკაკის-ძე — დიღმის № 73 საარჩევნო ოლქში
მირიანაშვილი ვახტანგ ვასილის-ძე — კოჯრის № 74 საარჩევნო ოლქში
ჯარიაშვილი ცირა ფირუზის ასული — სოფლანტყოს № 75 საარჩევნო ოლქში
შარაშიძე დავით გიორგის-ძე — სართიჭალის № 76 საარჩევნო ოლქში
ბაბაევი ლატიფ რასულ ოღლი — გარდაბანის № 77 საარჩევნო ოლქში
ალიევა გულსანამ აბმედის ასული — აღთაღლის № 78 საარჩევნო ოლქში

ქ. კასპი

გეჯაძე ბესარიონ ნიკოლოზის-ძე — მცხეთის № 79 საარჩევნო ოლქში
პაპიაშვილი ვახტანგ იოსების-ძე — კასპის № 80 საარჩევნო ოლქში

გორის რაიონი

ლაშქარაშვილი თამარ ვასილის ასული—ახალქალაქის № 81 საარჩევნო ოლქში
ხომიზურაშვილი ნიკოლოზ მიხეილის-ძე—ბეგმოჭალის № 82 საარჩევნო ოლქში
ბზიშვილი რევაზ ალექსანდრეს-ძე — კავთისხევის № 83 საარჩევნო ოლქში
ხუციშვილი ვერა ვლადიმერის ასული — ყარაღაჯის № 84 საარჩევნო ოლქში
ცერცვაძე გიორგი ალექსანდრეს-ძე — შავშვების № 85 საარჩევნო ოლქში
ტერუნაშვილი ოლია კარგოს ასული — მეჯვრისხევის № 86 საარჩევნო ოლქში
ნიკოლაიშვილი ეკატერინე დიმიტრის ასული — ტყვიავის № 87 საარჩევნო ოლქში
წიქარიძე ლევან შალვას-ძე — კარალეთის № 88 საარჩევნო ოლქში
მუშკუდიანი ზინაიდა ტარასის ასული — შინდისის № 89 საარჩევნო ოლქში
რთველიაშვილი იოსებ გიორგის-ძე — ხიდისთავის № 90 საარჩევნო ოლქში
ტოლიაშვილი იაკობ ალექსის-ძე — ატენის № 91 საარჩევნო ოლქში
რაზმაძე ხვთისო ნიკოლოზის-ძე — ქარელის № 92 საარჩევნო ოლქში
თაქთაქიშვილი ოთარ ვასილის-ძე — რუისის № 93 საარჩევნო ოლქში

ქ. გორი

ილარიშვილი მიხეილ ალექსის-ძე — ლენინის № 94 საარჩევნო ოლქში
ყანჩაველი მარიამ გიორგის ასული — ჭავჭავაძის № 95 საარჩევნო ოლქში
კობერიძე ირაკლი პავლეს-ძე — მშვიდობის № 96 საარჩევნო ოლქში

ხაშურის რაიონი

ტაბუცაძე ისაკ სერგოს-ძე — აგარის № 97 საარჩევნო ოლქში
ყანჩაველი ლევან ალექსის-ძე — აბისის № 98 საარჩევნო ოლქში
ცხოვრებაშვილი თინა კონსტანტინეს ასული — კეხოჯრის № 99 საარჩევნო ოლქში
აბაზაძე ზაალ დავითის-ძე — ალის № 100 საარჩევნო ოლქში
გოგოლაძე სიმონ გიორგის-ძე — სასოფლო № 101 საარჩევნო ოლქში
გელაშვილი ქეთევნა ალექსის ასული — ლენინის საქალაქო № 102 საარჩევნო ოლქში
ქართველიშვილი გაბრიელ მიხეილის-ძე — სურამის № 103 საარჩევნო ოლქში
ლომიძე მარიამ დიმიტრის ასული — ქვიშხეთის № 104 საარჩევნო ოლქში
დევიძე პავლე ანდრიას-ძე — დვირის № 105 საარჩევნო ოლქში

ქ. ბორჯომი

ქუთათელაძე გურამ ალექსანდრეს-ძე — ბორჯომის № 106 საარჩევნო ოლქში
ხარისკირაშვილი ქეთევან პეტრეს ასული — წაღვერის № 107 საარჩევნო ოლქში
ნებაძე ივანე პავლეს-ძე — ვალეს № 108 საარჩევნო ოლქში

ახალციხის რაიონი

პაატაშვილი ვახტანგ ალექსანდრეს-ძე — ლენინის № 109 საარჩევნო ოლქში
კალიუნენი პაველ პავლეს-ძე — ჯაფარიძის № 110 საარჩევნო ოლქში
ღონდაძე ლეილა გერმოგენის ასული — აეროფლოტის № 111 საარჩევნო ოლქში
ხარისჩარიშვილი ივანე სიმონის-ძე — ბამბაჯის № 112 საარჩევნო ოლქში
გრძელიშვილი შალვა ონისიმეს-ძე — ადიგენის № 113 საარჩევნო ოლქში
ნახაპეტიანი ვერონ ხაჩატურის ასული — უდის № 114 საარჩევნო ოლქში
ისაკაძე ლევან მიხეილის-ძე — ასპინძის № 115 საარჩევნო ოლქში

ახალქალაქის რაიონი

ვერიუენკო კონსტანტინე დენისის-ძე — საქალაქო № 116 საარჩევნო ოლქში
ალვარიანი ორომსიმა გრიგოლის ასული—სასოფლო № 117 საარჩევნო ოლქში
ბლრციანი აკოფ არამის-ძე — ალასტანის № 118 საარჩევნო ოლქში
ლენკოვი ლეონიდ იაკობის-ძე — ბარალეთის № 119 საარჩევნო ოლქში
გრიგორიანი არუთინ პარუირის-ძე — დილისკის № 120 საარჩევნო ოლქში
მოვსესიანი ოვანეს შავარშის-ძე — ოკამის № 121 საარჩევნო ოლქში
კაზარიანი უსიკ ავეტისის-ძე — ბოგდანოვკის № 122 საარჩევნო ოლქში
გრიგორიანი ვარაგან ხაჩატურის-ძე — ჯიგრაშენის № 123 საარჩევნო ოლქში
ტაზაიანი ფენია გეღამის ასული — განძის № 124 საარჩევნო ოლქში

თეთრიწყაროს რაიონი

გიგოშვილი არჩილ ალექსანდრეს-ძე—თეთრიწყაროს № 125 საარჩევნო ოლქში
გნეტოვა ანა დიმიტრის ასული — მაღლისის № 126 საარჩევნო ოლქში
წულუკიძე პაველ ერმილეს-ძე — ასურეთის № 127 საარჩევნო ოლქში
თოფურიძე მიხეილ ესტატეს-ძე — წალკის № 128 საარჩევნო ოლქში
დურახოვა თეოდორა ილარიონის ასული — ბეშთაშენის № 129 საარჩევნო ოლქში
არომელაძე ილია დავითის-ძე — ავრახლოს № 130 საარჩევნო ოლქში
მაკაროვა სოფიო პაველს ასული — ედიჭილისის № 131 საარჩევნო ოლქში

გოლნისის რაიონი

ციციშვილი გიორგი ვლადიმერის-ძე — ალგეთის № 132 საარჩევნო ოლქში
გარეჯევა გულლარ კახრამან ყზი — ორჯონიკიძის № 133 საარჩევნო ოლქში
გასანოვი ივაზ დურსუნ ოღლი — ყაჩარნის № 134 საარჩევნო ოლქში
გარდაფხაძე კარლო კონსტანტინეს-ძე — შულავერის № 135 საარჩევნო ოლქში
სანიკიძე ვლადიმერ კირილეს-ძე — შაუმიანის № 136 საარჩევნო ოლქში
ემინოვი ელმან ახმედ ოღლი — სადახლოს № 137 საარჩევნო ოლქში
წერეთელი გიორგი ვასილის-ძე — გომარეთის № 138 საარჩევნო ოლქში
დურსუნოვა მარია მოსტელოს ასული — ამამლოს № 139 საარჩევნო ოლქში
ოსმანოვი ჯუმშუდ მაჯიდ ოღლი — დმანისის № 140 საარჩევნო ოლქში
ინაძე ნინო მოსეს ასული — ბოლნისის № 141 საარჩევნო ოლქში
გუსეინოვი ნაბი მუსა ოღლი — ფახრალოს № 142 საარჩევნო ოლქში
მამედოვა სარინჯელ ალი ყზი — არახლოს № 143 საარჩევნო ოლქში
საფაროვი ილიას მაგამედ ოღლი — ქვემოს № 144 საარჩევნო ოლქში
ყულიევი მაზმუდ ყულის-ძე — ქვემო ბოლნისის № 145 საარჩევნო ოლქში

მარნეულის რაიონი

ბაკაშვილი იოსებ სერგოს-ძე — მარნეულის № 146 საარჩევნო ოლქში
გონგაძე რუბენ ივანეს-ძე — ბედიანის № 147 საარჩევნო ოლქში

ქ. რუსთავი

მერკულოვი ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე — ვაჟა ფშაველას № 148 საარჩევნო ოლქში
თითბერიძე შოთა ამბროსის-ძე — გურამიშვილის № 149 საარჩევნო ოლქში
ძამაშვილი არჩილ ვასილის-ძე — ლენინის № 150 საარჩევნო ოლქში
შარაძენიძე სოლომონ ავთანდილის-ძე — მეტალურგთა № 151 საარჩევნო ოლქში
ებრალიძე ნუგზარ პეტრეს-ძე — შრომითი რეზერვების № 152 საარჩევნო ოლქში
მოისეევა ნადეჟდა ალექსანდრეს ასული — ქიმიკოსთა № 153 საარჩევნო ოლქში
ჯაფარიძე ზურაბ სერგოს-ძე — მშენებელთა № 154 საარჩევნო ოლქში

ყაზბეგის რაიონი

ფირანიშვილი ვალერიან ალექსის-ძე — ყაზბეგის № 155 საარჩევნო ოლქში

დუშეთის რაიონი

შადური არჩილ ივანეს-ძე — დუშეთის № 156 საარჩევნო ოლქში
ყორეოკაშვილი გრიგოლ დავითის-ძე — ბაზალეთის № 157 საარჩევნო ოლქში
კედელაშვილი სიმონ პეტრეს-ძე — ფასანაურის № 158 საარჩევნო ოლქში
ალუდაური მარიამ მამუკას ასული — ქინვალის № 159 საარჩევნო ოლქში
დავითაშვილი თეიმურაზ ნიკოლოზის-ძე — მუხრანის № 160 საარჩევნო ოლქში
მოძღვრიშვილი ელისაბედ რაფაელის ასული — საგურამოს № 161 საარჩევნო ოლქში

თიანეთი

მესაბლიშვილი დარო ივანეს ასული — თიანეთის № 162 საარჩევნო ოლქში
გონჭილაშვილი მარიამ ალექსანდრეს ასული — ხევსურთსოფლის № 163 საარჩევნო ოლქში

გურჯაანის რაიონი

ზარდიაშვილი ბაბულია გიორგის ასული — საქალაქო № 164 საარჩევნო ოლქში
აზაურაშვილი გივი ეგნატეს-ძე — შაშიანის № 165 საარჩევნო ოლქში
მამისაშვილი დიმიტრი ალექსანდრეს-ძე — ველისციხის № 166 საარჩევნო ოლქში
არჩევნიშვილი ზაქარია მიხეილის-ძე — ახაშენის № 167 საარჩევნო ოლქში
ზემლიანსკი დიმიტრი სიმონის-ძე — ვეჯინის № 168 საარჩევნო ოლქში
ჩახვაშვილი რუსუდან ზაქარიას ასული — კარდანახის № 169 საარჩევნო ოლქში
რევაზიშვილი ვალერიან გრიგოლის-ძე — კაჭრეთის № 170 საარჩევნო ოლქში
რომელაშვილი დავით ზაქარიას-ძე — ყანდაურის № 171 საარჩევნო ოლქში
მჭედლიშვილი დავით ვასილის-ძე — მანავის № 172 საარჩევნო ოლქში
თურმანიული მარიამ სოლომონის ასული — პატარძეულის № 173 საარჩევნო ოლქში

ქ. საგარეჯო

საბაშვილი ოთარ გიორგის-ძე — საგარეჯოს № 174 საარჩევნო ოლქში

სიღნაღის რაიონი

გელაშვილი ზიმბერი ლევანის-ძე — საქალაქო № 175 საარჩევნო ოლქში
ბუნიძე თენგიზ პაველს-ძე — მაღაროს № 176 საარჩევნო ოლქში
ჯანგულაშვილი გიორგი იოსების-ძე — ანაგის № 177 საარჩევნო ოლქში
გონაშვილი ამირან ივანეს-ძე — წნორის № 178 საარჩევნო ოლქში
ბეგიაშვილი მარიამ ივანეს ასული — ტიბაანის № 179 საარჩევნო ოლქში
კოტაშვილი ალექსანდრა მოსეს ასული — ზემო მაჩხაანის № 180 საარჩევნო ოლქში
ქობულია გიორგი სამსონის-ძე — გამარჯვების № 181 საარჩევნო ოლქში
ხოსროშვილი სერგო ეგნატეს-ძე — წითელწყაროს № 182 საარჩევნო ოლქში
ყორიაშვილი ნიკოლოზ სტეფანეს-ძე—ზემო ქედის № 183 საარჩევნო ოლქში

ყვარლის რაიონი

დობრონეცკი ლეონიდე კონსტანტინეს-ძე — ლაგოდეხის № 184 საარჩევნო ოლქში
გელაშვილი დიმიტრი ვასილის-ძე — ვარდისუბნის № 185 საარჩევნო ოლქში
ლეონიძე გიორგი ნიკოლოზის-ძე — ბაისუბნის № 186 საარჩევნო ოლქში
ტალახაძე ანიჩკა სიკოს ასული — აფენის № 187 საარჩევნო ოლქში
კაპანაძე თამარ ვლადიმერის ასული — ლელიანის № 188 საარჩევნო ოლქში
ზაუტაშვილი გივი იასეს-ძე — ყვარლის № 189 საარჩევნო ოლქში
არჩუაშვილი მიხეილ ივანეს-ძე — ახალსოფლის № 190 საარჩევნო ოლქში
მაისურაძე ვლადიმერ იგანეს-ძე — შილდის № 191 საარჩევნო ოლქში
კუნიაშვილი ოთარ ისაონის-ძე — ენისელის № 192 საარჩევნო ოლქში

თელავის რაიონი

დავითაშვილი მაყვალა რევაზის ასული — წინანდალის № 193 საარჩევნო ოლქში
ნასყიდაშვილი მარიამ ლევანის ასული — კურდღელაურის № 194 საარჩევნო ოლქში
არსენიშვილი ლონგინოზ გიორგის-ძე — იყალთის № 195 საარჩევნო ოლქში
ბადურაშვილი თეიმურაზ გიორგის-ძე — ნაფარეულის № 196 საარჩევნო ოლქში
მესტვირიშვილი ილია ალექსანდრეს-ძე — ქისტაურის № 197 საარჩევნო ოლქში
ბატიაშვილი ალექსი გიორგის-ძე. ახმეტის № 198 საარჩევნო ოლქში
ჯამრულიძე კონსტანტინე ერასტის-ძე ალვანის № 199 საარჩევნო ოლქში
ჭანუყვაძე შოთა ილარიონის-ძე მატნის № 200 საარჩევნო ოლქში

ქ. თელავი

ფამარაშვილი ეთერი ვლადიმერის ასული* — ლენინის № 201 საარჩევნო ოლქში
ვარდოშვილი ალექსანდრე ლევანის-ძე — ნადიკვარის № 202 საარჩევნო ოლქში

ზესტაფონის რაიონი

ხოხლოვი ივანე მიხეილის-ძე — ორჯონიკიძის № 203 საარჩევნო ოლქში
კიკნაძე ლელი ბიტორის ასული — მოლითის № 204 საარჩევნო ოლქში
ზერაძე ლევან იათაოზის-ძე — ბორითის № 205 საარჩევნო ოლქში
სხილაძე მარგალიტა ანთიმის ასული — კიცხის № 206 საარჩევნო ოლქში
სახეჩიძე პაველ პრამონის-ძე — მეორე სვირის № 207 საარჩევნო ოლქში
ყვაჭაძე ზინაიდა არსენის ასული — კვალითის № 208 საარჩევნო ოლქში
გელაშვილი ციალა ლეონტის ასული — ძარულის № 209 საარჩევნო ოლქში
ჩხიკვიშვილი ირაკლი იოსების-ძე — ქვედა საქარის № 210 საარჩევნო ოლქში
აბულაძე კარპო დავითის-ძე — ზედა საქარის № 211 საარჩევნო ოლქში
ფორჩხიძე გრიგოლ მათეს-ძე — თერჯოლის № 212 საარჩევნო ოლქში
გოგოლაშვილი ზინა სიმონის ასული — ჩხარის № 213 საარჩევნო ოლქში
საყვარელიძე ლევან აბოს-ძე — საზანოს № 214 საარჩევნო ოლქში
ჯავახიძე ნიკოლოზ სტეფანეს-ძე — ქვედა სამონეთის № 215 საარჩევნო ოლქში

ქ. ზესტაფონი

ნანიტაშვილი გრიგოლ ლევანტის-ძე — ლენინის № 216 საარჩევნო ოლქში
ყაპანაძე თეიმურ არჩილის-ძე — გორკის № 217 საარჩევნო ოლქში

ქ. ჭიათურა

კილაძე დავით ვასილის-ძე — საქალაქო № 218 საარჩევნო ოლქში
პატარიძე ზურაბ ალექსანდრეს-ძე — ლენინის № 219 საარჩევნო ოლქში

საჩხერის რაიონი

დურმიშიძე სერგი ვასილის-ძე — საჩხერის № 220 საარჩევნო ოლქში
კურტანიძე პარმენ ნიკოლოზის-ძე — საარხის № 221 საარჩევნო ოლქში
შევარდნაძე იმოკრატე ამბროსის-ძე — არგვეთის № 222 საარჩევნო ოლქში
ხარაიშვილი ეთერ ვლადიმერის ასული — კორბოულის № 223 საარჩევნო ოლქში
ჭირაქაძე არჩილ ვარლამის-ძე — ნიგოზეთის № 224 საარჩევნო ოლქში
ანდრონიკაშვილი გიორგი ალექსანდრეს-ძე — სვერის № 225 საარჩევნო ოლქში
იობაშვილი ჯიმშერ ნიკიფორეს-ძე — ზოდის № 226 საარჩევნო ოლქში
თორთლაძე ელეკო მიხეილის ასული—კაცხის № 227 საარჩევნო ოლქში

(დასასრული შემდეგ ნომერში)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა აწარმოვა შემოწმება და დაადგინა, რომ ორღვევა რუსეთელიის ზოგიერთი მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციითა და დაფინანსების ანგარიშის გახსნით უზრუნველყოფის წესები და ვადები.

გამოირკვა, რომ 880 ობიექტიდან, რომელთაც საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო ამენებს 1963 წლს და რომელთა საერო სამუშაოთა მოცულობა 160 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს, მიმდინარე წლის 15 თებერვლისათვის დაფინანსების ანგარიში გახსნილი არ იყო 383 ობიექტზე 55 მილიონ მანეთზე მეტი ოდენობით.

ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ არ არის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 1963 წლის სამუშაო გეგმაში შეტანილ ბევრ ობიექტზე, და ცალკეულმა სამინისტროებმა და უწყებებმა დროზე არ წარადგინეს საჭიროო დოკუმენტები დაფინანსების ნებაზე.

მაგალითად, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით (ალუმინიუმგებელნი კაპიტალური მშენებლობისათვის — სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. გაბუნია და სახალხო მეურნეობის საბჭოს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსი თ. კინწურაშვილი) 189 სამრეწველო და საცხოვრებელი ობიექტიდან, რომელთა სამუშაოების წლიური მოცულობა 59 მილიონ მანეთს შეადგენს, მიმდინარე წლის 15 თებერვლისათვის დაფინანსების ანგარიში გახსნილი არ იყო 57 ობიექტზე, რომელთა წლიური მოცულობა 14 მილიონი მანეთია.

არ არის ტექნიკური დოკუმენტაცია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საადგილმამრეალი ფაბრიკის გასაფართოებლად. აზოტოვანი სასუქისა და მეტალურგიული ქარხნების მუშებისა და მოსამსახურეებისათვის საბინაო მშენებლობის საწარმოებლად, რომელთა მოცულობა 1113 ათას მანეთს შეადგენს, და სხვ.

შეუწყნარებელი მდგომარეობა შეიქმნა ტექნიკური დოკუმენტაციათა და დაფინანსებით იმ ობიექტთა უზრუნველყოფის საქმეში, რომელთა მშენებლობას აწარმოებს „მთავარობილისმშენი". მაშინ, როცა საიჯარო სამუშაოთა წლიური მოცულობა 33,5 მილიონი მანეთია, 15 თებერვლისათვის დაფინანსების ანგარიში გახსნილი არ იყო ობიექტებზე, რომელთა წლიური მოცულობა დაახლოებით 23 მილიონ მანეთს შეადგენს. ეს გამოწვეულია იმით, რომ არ არის ტექნიკური დოკუმენტაცია წერეთლის პროსპექტზე საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის, კოოპერაციული მშენებლობისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ობიექტებისა და ზოგიერთი სხვა ობიექტის მშენებლობისათვის. ამაში დამნაშავენი არიან ავრეთვე შემკვეთები, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან დოკუმენტაციის გაფორმებას დაფინანსების ანგარიშის გახსნისათვის.

იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დროზე არ გახახრიცელა ღონისძიებანი, [illegible] ... ბოლოს, ... ზემოქმედებას არ ახდენს მშენებლობის მიმდინარეობაზე, არ ახორციელებს ღონისძიებებს, რათა დროზე უზრუნველყოს ობიექტები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა განიხილა თავის სხდომაზე შემოწმების მასალები და მოსთხოვა შესაბამის უწყებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს დაამყარონ მტკიცე წესრიგი კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვისა და დაფინანსების საკითხებში, დასაჯა ის პირნი, რომელთაც ბრალი მიუძღვით იმაში, რომ მთელი რიგი მშენებლობანი დროზე არ არის უზრუნველყოფილ. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით და არ გახსნილა დაფინანსების ანგარიში..

საქართველოს სსრ სახელმწიფო-საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ს. ლორთქიფანიძისა და რესპუბლიკის სახმშენის თავმჯდომარის ბ. ლორთქიფანიძის ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა ძირეულად გაუმჯობესდეს მშენებლობის დაგეგმვისა და ხელმძღვანელობის საქმე.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. გაბუნია გიფრთხილებელია; რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. იაკუბოვსა და სახალხო მეურნეობის საბჭოს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსს თ. კინწურაშვილს გამოეცხადათ საყვედური; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსს გ. კალატოზიშვილს გამოეცხადა საყვედური გაფრთხილებით. (საქდესი).

ვ. დ. ძნელაძე



გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, პერსონალური პენსიონერი ვარლამ დავითის-ძე ძნელაძე.

იგი დაიბადა 1884 წელს გორის მაზრის დაბა ხაშურში, გლეხის ოჯახში. 1903 წელს ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში და ამავე წელს შეიყვანა რსდმპ რიგებში.

ვ. ძნელაძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო 1905-1907 წ. წ. რევოლუციაში. 1905 წლის ბოლოს ხელმძღვანელობდა ხაშურის შეიარაღებულ რაზმს, ამზადებდა ყუმბარებს, მუშაობდა პარტიულ ორგანიზატორად და პროპაგანდისტად. 1906 წლის დასაწყისში მიემგზავრება კიმინოიეში და ენერგიულ რევოლუციურ პროპაგანდას ეწევა ჯარის ნაწილებში. ძალე იგი იძულებული ხდება საზღვარგარეთ წავიდეს, ცხოვრობდა ქ. ბერნში და ეწეოდა პარტიულ მუშაობას.

1907 წელს ვ. ძნელაძე ბრუნდება რუსეთში და მუშაობს ეკატერინოსლავში პროფკავშირების ხაზით, სიდანაც შემდეგ ჩამოდის ხაშურში და განაგრძობს რევოლუციურ მოღვაწეობას. 1911-1913 წლებში პატიმრობაშია. 1914-1916 წლებში რევოლუციურ მუშაობას ეწევა თბილისის რკინიგზის მაღაზიაში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ვ. ძნელაძე პარტიის დავალებით იგზავნება ჯერ ბაქოში, შემდეგ კი ტრანსბაიკალიაში, სადაც სხვა ამხანაგებთან ერთად ხელმძღვანელობს პარტიულ მუშაობას ჯარის ნაწილებში. 1918 წლის გაზაფხულზე ვ. ძნელაძე აქტიურ მონაწილეობას იღებს აფხაზეთის შრომელთა შეიარაღებულ აჯანყებაში, რომლის დამარცხების შემდეგ მიდის ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც დიდ მუშაობას ეწევა ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად. ვ. ძნელაძე შეუვანილ იქნა რკკ(ბ) სამხარეო კომიტეტისა და თერგის მთავრობის შემადგენლობაში. 1919 წლის ივნისში მას პარტიის დავალებით გზავნიან ქ. ქუთაისში. 1920 წლის თებერვალში ვ. ძნელაძე მენშევიკებმა თბილისში დააპატიმრეს და გადაასახლეს ბაქოში, სადაც არჩეულ იქნა ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოში. შემდეგ იგი დანიშნეს მე-11 არმიის რწმუნებულად.

1921 წლის თებერვალში ბრუნდება საქართველოში და აქტიურად მონაწილეობს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი იმყოფებოდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე.

ვ. ძნელაძე დაჯილდოებული იყო შრომის წოდელი დროშის ორდენით და მედლებით.

ბოლშევიკური გვარდიის ძველი წევრისა და რევოლუციონერის ვ.